სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 10 მაისი 2006 №104 (2726) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ტოპმიოლერი ნაკრებით ჩამოდის



ბადრი ჯითილაძის ფოტო

ინტერვიუ ჯლაუს ტოპმიოლერთან იხილეთ მეორე გვერდზე

აცხადდა ბოლნისი ცაშია



ბადრაგ ძეძამიშვილის ფოტო ლიზიკიდან

გაიხარე, ოღონდ დაითვალე

გუშინ ვერის ბაღში დაიწყო ფინალური სერია, რომელმაც ჩვენს კალათბურთს ახალი ჩემპიონი უნდა მოუვლინოს. პირველივე ჯახის ანგარიში გვაფიქრებინებს, რომ სერია მეტად დაძაბული და უშეღავათო იქნება: „ავიამშენმა“ 2 ქულით აჯობა „აზოტს“ და სერიაში 1:0 დაწინაურდა.

მომდევნო მატჩი, ხვალ, ისევ ვერის ბაღშია, მერე კი ბრძოლა რუსთავში გაგრძელდება. ჩემპიონობით კი ის გაიხარებს, ვინც სამჯერ გაიმარჯვებს.

ვისთან გადავა უეფა ალავერდს?

უეფას თასი ჩემპიონთა ლიგის ჩრდილში კია, მაგრამ თავისი წილი ხიბლი ჯერაც არ დაუკარგავს. „მიდლსბროომ“ პირველად სცადა ბედი უეფას თასზე და პირველივე ცდაზე ფინალშია. „სევილიამაც“ გვარიანად იბრძოლა, სანამ ეინდჰოვენამდე მიაღწევდა და ღღეგანდელი მატჩი ორივე გუნდისთვის ჩემპიონთა თასის ფინალის ტოლფასია, რადგან ევროპული ჯილდო არც ერთ მათგანს არ მოუგია. ჰოდა, ეინდჰოვენის „ფილიპსზე“ ინგლისურ-ესპანური კლუბების რიარია საინტერესო უნდა გამოვიდეს.

მისტერ მოსლის ქართული ფორმულა

გუშინ თბილისში ორდღიანი ვიზიტით ჩამოვიდა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მაქს მოსლი. ეს იგივეა, საფეხბურთო ამბავში ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი რომ ჩამოვიდეს. მოსლი საკუთარი თვითმფრინავით ჩამოფრინდა, თან მრბოლთა უსაფრთხო მოძრაობის კომისიის ხელმძღვანელი დევიდ უორდიც იახლა. აეროპორტიდან სტუმრები ინგლისის საელჩოსკენ გაემართნენ, მანამდე კი ეს სახელდახელო ინტერვიუ იყო...

— საქართველოში ვისი მოწვევით ჩამოხვედით?

— აქ ჩამოსვლა ჩემი ინიციატივა იყო. თქვენი საავტომობილო ფედერაცია კარგად მუშაობს და ჩემი ვიზიტი ამანაც დააჩქარა. კავკასიაში დიდი პოტენციალია და დიდი პროექტების განხორციელება შეიძლება.

— კონკრეტულად?

— ნუ გაგიკვირდებათ და, ჩემი ინფორმაციით, თბილისთან ახლოს სამომავლოდ ფორმულა I-ის სტანდარტების ტრასის მოწყობა შეიძლება. ეს არც ისე შორეული პერსპექტივაა.

— მარტო ტრასის მოწყობაზეა ლაპარაკი?

— ვნახოთ, ბევრი რამ ხვალინდელ შეხვედრებზეა დამოკიდებული.

— ქვეყნის ხელმძღვანელებთან და ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილთან შეხვედრებს გულისხმობთ?

— ბადრი პატარკაციშვილი სერიოზული ბიზნესმენი და საინტერესო პიროვნებაა. საქართველოს მთავრობისგან კი მიმზიდველი წინადადებები მოდის...

— ახლო მომავალში საქართველოში რა პროექტების განხორციელებას უნდა ველოდოთ?

— ახლა ამის დაკონკრეტება ნაადრევია. ისე კი, გამორიცხული არაა, საქართველომ რალიში ან კარტინგში მსოფლიოს ერთერთ ეტაპს უმასპინძლოს.

მაქს მოსლი თბილისში ჩამოფრინდა ერევნიდან, სადაც რამდენიმე საათი დაჰყო. თბილისში ორ დღეს გაჩერდება, ხვალ დილით აზერბაიჯანში გაფრინდება და საღამოსვე უკან გაბრუნდება. მისი სტუმრობის სერიოზულ ხასიათზე ვიზიტის ხანგრძლივობაც მეტყველებს. დღეს მოსლის ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრები საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრთან, საქართველოს პრეზიდენტთან ან პარლამენტის თავმჯდომარესთან და ბადრი პატარკაციშვილთან ექნება. FIA-ს პრეზიდენტი საქართველოს საავტომობილო ფედერაციისთვის რუსთავის ავტოტრეკის გადაცემასაც დაესწრება, სადაც იგეგმება კიდეც თანამედროვე ტრასის მოწყობა.

გურამ დოლიძეს ფოტო

მისტერ მოსლი ძირძველი ლონდონელია, მაგრამ რაკი ავტოფედერაციის შტაბბინა მონაკოშია, უმეტეს დროს მონტე კარლოში ატარებს.

მაქსიმილიან რუფუს მოსლი 65 წლისაა. პროფესიით ადვოკატია, თუმც სახელი ავტოსარბიელზე საქმიანობით გაითქვა. 60-იან წლებში თავადაც მრბოლობდა, ოღონდ დაბალი კლასის, F2-ის ბოლიდებით, მერე კი მეგობრებთან ერთად საპირველფორმულო გუნდი — „მარჩი“ დააარსა.

1993 წლიდან მოსლი საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციას თავკაცობს. 2001 წლის ბოლოს, მეორე საპრეზიდენტო ვადის გასრულების შემდეგ, განაცხადა, თუ ისევ ამირჩევენ, ეს ჩემი ბოლო საპრეზიდენტო ოთხწლეული იქნებაო.

მესამე ვადაც გავიდა, პრეზიდენტი კი კვლავაც უცვლელია...

ბაჩო სვანიძე
ბია ახალაძე

ნაკრების შემადგენლობა უკვე ცნობილია

კლაუს ტოპმიოლერი: ჩიხრაძეზე კვირის ბოლომდე ვიფიქრებ

კლაუს ტოპმიოლერის ჩამოსვლა კიდევ ერთხელ, თუმცა მხოლოდ ერთი დღით გადაიდო. უკვე დღეს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი თბილისში იქნება. მასთან გუშინდელი საუბარიც ამ შეფერხების მიზეზით დავიწყეთ...

— ჩვენი ინფორმაციით, უკვე თბილისში უნდა ყოფილიყავით. როდის ჩამოდიხართ?

— ხვალ თბილისში ვიქნები. აქამდე ჩამოსვლას მართლაც ვგეგმავდი, მაგრამ ახალზელანდიელებთან მატჩისთვის სამზადისში ჩემი აქ ყოფნა უფრო იყო საჭირო.

— ნაკრების შემადგენლობას როდის დაასახელებთ?

— თბილისში ჩამოსვლის შემდეგ. ფაქტობრივად, ეს შემადგენლობა ცნობილია. ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან მატჩებისთვის 24 ფეხბურთელს გამოვიძახებთ.

— ბოლო პერიოდში რომელი ქართველი ლეგიონერი ინახულეთ და რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— თითოეული იმ ლეგიონერის საქმეში ნახვა მოვახერხე, ვის გამოძახებასაც ვგეგმავთ. ყველა კარგ ფორმაშია და იმედი მაქვს, ფორმას თვის ბოლომდეც შეინარჩუნებენ.

— რომელ ქალაქში გაიმართება შეხვედრა? ერთ-ერთ ვარიანტად ლევერკუზენი განიხილება და რას ნიშნავს თქვენთვის ამ ქალაქში საქართველოს ნაკრებთან ერთად სტუმრობა?

— მეეჭვება, ახალ ზელანდიასთან მატჩი ლევერკუზენში შედგეს. თავად კი მაქვს ამის სურვილი, მაგრამ იქვე 2 ივნისს გერმანელები ამხანაგურ მატჩში იაპონელებს ხვდებიან და გერმანიის ნაკრებს თავისი სამზადისი აქვს.

— რა ინფორმაციას ფლობთ ახალზელანდიელთა ნაკრებზე?

— შეიძლება ითქვას, თითქმის არავითარს. ეს ნაკრები არ არის იმდენად ცნობილი, რომ მის შესახებ წინასწარ მქონოდა ინფორმაცია. თუმცა ახლა ამ ხარვეზის გამოსწორებას ვცდილობთ. დღეს საღამოს კიდევ ერთი შეხვედრა მაქვს, რომელზეც ახალზელანდიელებთან დაკავშირებით ინფორმაციის გარდა მატჩის მასპინძელი ქალაქიც გახდება ცნობილი.

— ფედერაციის წარმომადგენლები ნალჩიკის „სპარტაკის" მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძეს უკვე ესაუბრნენ. ხომ არ აპირებთ მის გამოძახებასაც?

— გამორიცხული არ არის. ეს საკითხი კვირის ბოლომდე გაირკვევა.

— 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად სლოვაკეთში გამგზავრებას გეგმავთ. გაირკვა თუ არა ამ ნაკრების საბოლოო შემადგენლობა?

— კვირის ბოლომდე დრო კიდევ გვაქვს და ვეცდებით, სლოვაკეთში ყველა საუკეთესო წავიყვანოთ.

— რამდენად ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, როგორია 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი?

— სამივე მეტოქეზე ვფლობთ გარკვეულ ინფორმაციას და შეიძლია ვთქვა, რომ თითოეული მათგანი სერიოზული ძალაა. მასპინძელმა სლოვაკეთმა ბოლო ერთ წელიწადში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, თუმცა პირველობისთვის სხვა გუნდებიც იბრძოლებენ. ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებსაც შესწევს ფინალურ ეტაპზე მოხვედრის ძალა.

— როდის დაბრუნდებით სლოვაკეთიდან და როდის დაიწყებთ ეროვნული ნაკრების შეკრებას?

— 19-წლამდელთა ნაკრები სლოვაკეთში ბოლო შეხვედრას 23 მაისს გამართავს. იქიდან პირდაპირ გადავინაცვლებ გერმანიაში და 24 მაისს ეროვნულ ნაკრებთან ერთად ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან მატჩებისთვის მზადებას დავიწყებთ.

ნინო სილაგაძე

ილია კანდელაკი: შახტარი არ გამაგონოთ

ჩემი მედლები საქართველოშიც ჩხრიალებს

უკრაინელი ჟურნალისტების შეფასებით, მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთ აღმოჩენად ოდესის „ჩერნომორეცის" ქართველი ნახევარმცველი ილია კანდელაკი იქცა. „ჩერნომორეცმა" უკვე გაინაღდა უკრაინის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები და უეფას თასის საგზური. გთავაზობთ ინტერვიუს ილია კანდელაკთან, რომელიც მას კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა ჩამოართვა....

— თქვენი პირველი უკრაინული სეზონი წარმატებით დასრულდა. როგორ გრძნობთ თავს ბრინჯაოს პრიზიორის რანგში?

— რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა, რომ ყველაფერი კარგად აგვეწყო და წარმატებული სეზონი გამოგვივიდა როგორც პირადად მე, ასევე გუნდსაც. იყო გარკვეული სირთულეები, თუმცა ჯამში მივაღწიეთ იმ მიზანს, რომელიც სეზონის წინ კლუბის ხელმძღვანელობამ დაგვისახა.

— უეფას თასზე მოგიწევთ თამაში, სადაც თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში არაერთი მატჩი ჩაგიტარებიათ. რას ელით ოდესაში გასამართი საუეფასთასო მატჩებისგან?

— თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში ევროთასებზე 20 მატჩი ჩავატარე. ასე რომ, გარკვეული გამოცდილება ნამდვილად გამაჩნია, ისევე როგორც რამდენიმე ჩემს თანაგუნდელს. ჯერჯერობით ძნელია შემოდგომით გასამართ მატჩებზე ლაპარაკი. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დავისვენებთ და ახალი სეზონისთვის მზადებას დავიწყებთ. კონკრეტულ გეგმებსა და მიზნებზეც მერე მოგვიწევს ფიქრი.

— არ მსურს ამ მატჩის გახსენება. რატომღაც ასე მოხდა. თავადაც იცით, რომ „შახტარი" ბრწყინვალე გუნდია, თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ საბოლოოდ ჩვენთვის ყველაფერი კარგად დასრულდა.

— რამდენად რთული იყო მარიკასა და ბრანდაოს წინააღმდეგ თამაში?

— რთულიც იყო და საინტერესოც. მიყვარს მაღალი დონის მეტოქეების წინააღმდეგ თამაში, ამით ხომ თავადაც ვიზრდები, როგორც პროფესიონალი.

— საქართველოში თვალს ადევნებენ თქვენი და კახა მჟავანაძის უკრაინულ კარიერას?

— რა თქმა უნდა. ისე, დღეს ვფიქრობდი — საქართველოს ჩემპიონატში თამაშისას არც ერთ სეზონში მედლის გარეშე არ დავრჩენილვარ. სასიამოვნოა, რომ ეს „ტრადიცია" უკრაინაშიც გავაგრძელე.

— რა თქმა უნდა, ამ მატჩებს სულმოუთქმელად ველი — ევრომატჩები განსაკუთრებული და დასამახსოვრებელია. როცა სხვა ქვეყნის, სხვა საფეხბურთო სტილის მიმდევარ მეტოქეს ხვდები, გაცილებით მეტია ემოციაც.

— დონეცკის „შახტარს" საკადრისი ბრძოლა ვერ გაუმართეთ. როგორ ფიქრობთ, ყველაფერი პირველ ტაიმში გაშვებულმა ალოგიკურმა გოლებმა გადაწყვიტა?

**— კვირაში ბოლო ორ კიდევ ერთ ბრძოლას ვერ გაუმართეთ. ეროვნულ ნაკრებში ბოლო ორ ოფიციალურ მატჩში ბულგარეთთან ერთ-ერთ ბრძოლაში ბოლო ოცდაათ წუთში ბურთი ბოლოს ვერ ავიღეთ. ეს ბოლო ოცდაათ წუ

ხაში სლოვაკურად

გადრი კეთილაძის ფოტო

ᲓᲦᲔᲘᲓᲐᲜ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები შეკრებაზე გადადის. ჰაინც ტოპმიოლერი შეგირდებს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ შეკრებს. მის განკარგულებაში არ იქნებიან თბილისური „ამერისა“ და „ზესტაფონის“ ფეხბურთელები, რომლებიც გამოძახების შემთხვევაში ნაკრებს მხოლოდ 13 მაისს გასამართი საქართველოს თასის ფინალური მატჩის შემდეგ შეუერთდებიან.

სლოვაკეთში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ევროშესარჩევის სამ შეხვედრას გამართავს. რაც ყველაზე უცნაურია, ორგანიზატორებმა ჯგუფური ტურნირის ყველა შეხვედრა არასაფეხბურთო დროს — ადგილობრივი დროით დილის 11 საათზე დანიშნეს. 19 მაისს პირველ შეხვედრას ჩვენი გუნდი ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ თურქეთთან გამართავს. შეხვედრას დუბნიცას სტადიონი „მესტსკი“ უმასპინძლებს. ორი დღის შემდეგ ჩვენების მეტოქე მასპინძელი სლოვაკეთი იქნება, ბოლო შეხვედრა კი 23 მაისს ირლანდიელებთანაა.

აქვე შეგახსენებთ, რომ 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს მხოლოდ ჯგუფური ტურნირის გამარჯვებული გუნდი მიიღებს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲖᲘᲜᲚᲘᲗᲘᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲘ

TELECOM GEORGIA

ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲢᲐᲠᲘᲤᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲐ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲖᲔ

ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲒᲗᲘᲖᲔ ᲓᲐ ᲯᲔᲝᲡᲔᲚᲖᲔ 25 ᲗᲔᲗᲠᲐᲓ
(ᲢᲐᲠᲘᲤᲘ ᲕᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ 12 ᲗᲔᲗᲠᲐᲓ
(ᲢᲐᲠᲘᲤᲘ ᲕᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ)

ᲓᲠᲝᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲚᲠᲘᲪᲮᲕᲐ

ᲐᲙᲠᲔᲤᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ:
ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲖᲔ ᲓᲐᲡᲐᲠᲔᲙᲐᲓ
8-100+ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲓᲘ (99,98,95,77,93,55)
+ ᲐᲑᲝᲜᲔᲜᲢᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ
8-100+ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲝᲓᲘ+ ᲐᲑᲝᲜᲔᲜᲢᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ

8-100

ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲗ ᲛᲔᲢᲘ, ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲔᲗ ᲜᲐᲚᲔᲑᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 31 ᲢᲔᲚ.: 442828 www.telecom.ge

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲯᲔᲝᲡᲔᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲯᲔᲝ-ᲛᲘᲥᲡᲘ!

GEO *123#
ᲯᲔᲝ MIX ᲛᲘᲥᲡᲘ

ᲐᲙᲠᲘᲤᲔᲗ

*123*9# YES

ᲓᲐ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲔᲗ

ᲕᲘᲓᲔᲝᲜᲐᲠᲔᲗ ᲡᲐᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲔᲩᲮᲔᲗᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘ

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — **მეორე წრე** — **30 ტური**

ბალხაზ ძუთაისელაძე ქუთაისიდან

კოკა მიკუჩაძემ ქუთაისში სამი ოქროს გოლი გაიტანა

ქუთაისი. 9 მაისი. 17 საათი. ტორპედო. 2 500 (ტევადობა 20 000)

ტორპედო 0:4 სიონი

0:1 მიკუჩაძე (28), 0:2 ალავიძე (32), 0:3, 0:4 მიკუჩაძე (84, 86)

ტორპედო	სიონი
ჭურაძე, დათიაშვილი (ა. კვერნაძე 46), ბერუაშვილი, ზ. ჩხეტიანი, რ. კვერნაძე, გურული, ლაღაძე, გამეზარდაშვილი, გორგოძე, დ. ჯანაშია (დოღონაძე 46), დარსანია	ბათიაშვილი, ლ. ჭელიძე (ოქროპირიძე 82), ჭიჭვეიშვილი, რაქვიაშვილი, კობური, ბაჯელიძე (სვანიძე 82), ხმალაძე, კვიტაიშვილი, ა. ალავიძე, მიკუჩაძე, მ. ხუციშვილი (ტაბატაძე 70),
სათადარიგონი: მიგინეიშვილი, ნ. ნადირაძე, ფუსტვენიძე, კუტაშვილი, ხეცურიანი	სათადარიგონი: ბობღიაშვილი; ქარდავა, ქუცურუა, ვ. უგრეხელიძე
მწვრთნელი: იური კვერნაძე	მწვრთნელი: კახა ცხადაძე

გაფრთხილება: ბაჯელაძე (13), ბერუაშვილი (30), ჯანაშია (46), გამეზარდაშვილი (87)

მსაჯები: ლ. სილაგავა; დ. კვეტენაძე, ზ. ბერულავა; დ. სანაია

დამკვირვებელი: ი. მჭედლიშვილი

ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან

გუშინდელ მატჩში ქვემოქართლელებს ჩემპიონობისთვის ფრეც ჰყოფნიდათ, ქუთათურებმა კი წინა ტურში „სპარტაკთან“ 2:1 მოგებით დაიბევეს ადგილი უმაღლეს ლიგაში.

მატჩამდე ქუთაისში ბევრი ამბობდა, თამაში ფრედ დამთავრდებაო და ანგარიშსაც კი ასახელებდნენ — 2:2. არადა, თამაში სულ სხვა სცენარით წარიმართა და მასპინძლები გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდნენ...

„ტორპედომ“ პირველივე შეტევა კინაღამ გოლით დაასრულა — კოტე დარსანიას მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებულს ზვიად ჩხეტიანმა თავი დაუხვედრა, მაგრამ კარს ოდნავ აცილა. მე-10 წუთზე იმავ ჩხეტიანს ისევ შეეძლო გატანა, მაგრამ მეკარემ შესანიშნავად ითამაშა.

დაახლოებით მე-20 წუთზე იყო, სტადიონზე პარლამენტარი, „სიონის“ საპატიო პრეზიდენტი დავით კირკიტაძე რომ მოვიდა. ეტყობა, ამან „იმოქმედა“ ბოლნისელებზე, მალევე ტემპს უმატეს და უპირატესობაც იგდეს ხელთ.

არჩილ ალავიძის მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებულს ვარდნაში მიხეილ ხუციშვილი კი მისწვდა, თუმცა ოდნავ ააცილა; მალე ლევან ბაჯელაძემ გაისროლა შორიდან, მაგრამ სერგო ჭურაძემ არ გაატანინა.

28-ე წუთზე სტუმრებმა „ტორპედოს“ საჯარიმოსთან ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს — ალავიძემ ბურთი სახიფათოდ ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც ყველას კოკა მიკუჩაძემ აჯობა და 0:1.

ხუთიოდ წუთში სტუმრებმა მეორე გაიხარეს — ალავიძემ საჯარიმო დარტყმა შესანიშნავად შეასრულა — 0:2.

მეორე ტაიმში წვიმამ იმატა, თუმცა მან ბოლნისელ გულშემატკივრებს ხელი ვერ შეუშალა — ისინი ბოლო წამამდე მხურვალედ ქომაგობდნენ გუნდს.

თამაში მასპინძლებმა აქტიურად განაახლეს. ზურაბ ბათიაშვილმა ჯერ რევაზ კვერნაძეს აუღო „მკვდარი ბურთი“, შემდეგ კი ჩხეტიანის მახვილი კუთხიდან დარტყმული მოიგერია. ერთხელ თავდამსხმელთა დასახმარებლად ჩასულმა დავით გამეზარდაშვილმა კარგად დაარტყა თავით, მაგრამ ბათიაშვილმა ისევ გამოავლინა შესაშური რეაქცია და ბურთი მოიგერია.

თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე გოლის გატანის კარგი შანსები გაანიავეს ტორპედოელებმა — ჯერ არმაზ დოღონაძე ურტყამდა ახლო მანძილიდან, დამატებაზე კი კვერნაძემ ვერ ივარგა.

შეტევაში გართული მასპინძლებს კონტრშეტევა გაეპარათ — ხელოვნური თამაშგარის შექმნას შეეცადნენ, მიკუჩაძემ კი ამით ისარგებლა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და 0:3.

ამის შემდეგ „ტორპედო“ საერობოდ გაჩერდა და კიდევ ერთი ბურთი გაუშვა — მიკუჩაძემ გიორგი კვიტაიშვილის პასით გაიტანა.

სხვათა შორის, ბომბარდირობაში ერთ-ერთი კონკურენტის გოლებს ზესტაფონელმა ზურაბ იონანიძემ ცოცხლად უყურა — „იონა“ სათასო ფინალის წინ ისვენებდა, „ზესტაფონს“ თელავში არ გაჰყოლია და ქუთაისურ შეხვედრას ლოჟიდან ადევნებდა თვალს.

თამაშის ბოლოდე ბოლნისელებს კიდევ შეეძლოთ გატანა, თუმცა მიღწეულით დაკმაყოფილდნენ. ქუთათური გულშემატკივარი კი გულნატკენი და იმედგაცრუებული ნაადრევად ტოვებდა სტადიონს...

თამაშის დამთავრების შემდეგ ბოლნისელები ჩემპიონობას ზეიმობდნენ, ქუთაისელთა გასახდელიდან კი დიდი ხმაური გამოდიოდა, როგორც ჩანს, რაღაც ისე არ მოხდა, როგორც უნდა ყოფილიყო. საქმე იქამდეც მივიდა, რომ საქმეში უსაფრთხოების სამსახური ჩაერთო. საბოლოოდ კი ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა...

საქართველოს ახალი ჩემპიონი ჰყავს — ბოლნისის „სიონი“!

ბალხაზ ძუთაისელაძე ქუთაისიდან

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
მენერალური სასმელი

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 30 ტური

ეროვნული ბანკი

სოხუმი 1:6 დინამო

თბილისი. 9 მაისი. 17 საათი. შევარდენი. 150 (ტევადობა 2 000)

0:1 დვალი (1), 0:2 ბურდული (4), 1:2 კახელაშვილი (14), 1:3, 1:4, 1:5 დვალი (40, 76, 85), 1:6 დარასელია (90)

სოხუმი	დინამო
სეფიაშვილი, გასვიანი, მოლოდინი, მაჩალაძე, ბართია (დ. მჭედლიშვილი 38), ი. ჭანტურია, დ. კახელაშვილი, სიხარულიძე, გ. ჯელაძე (გოროზია 58), გაგუა, ა. ნოზაძე	სტურუა, ორბელაძე, შაშიაშვილი, ნავალოვსკი (ფირცხალავა 57), ლ. ნოზაძე (ჩირიკაშვილი 68), ლ. ბურდული, დ. გიგაური, ს. კობახიძე, ვ. დარასელია, გ. მერებაშვილი (ვაწაძე 60), ჯ. დვალი
სათადარიგონი: ქაშიბაძე, ხაჩიძე, ერქვანია	სათადარიგონი: ლორია; ქემოკლიძე, აკობია, ახალაია
მწვრთნელი: გოჩა ყორყოლიანი	მწვრთნელი: ანდრეი ჩერნიშოვი

გაფრთხილება: დარასელია (25), სიხარულიძე (59)

გაძევება: ჩერნიშოვი (75)

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; ო. მოლოდინაშვილი, ტ. არაბული; ა. კრიჭაშვილი

დამკვირვებელი: ე. სილაგავა

გაძევებული ჩერნიშოვის ფიქრები

ნონიკაშვილს ჰგონია, რომ ვარსკვლავი გახდება

დავით თავართქილაძე

სეზონში უტიტულოდ დარჩენილმა „დინამომ“ გუშინ მესამე ადგილი და ინტერტოტოს თასის საგზური მოიპოვა, ხოლო დინამოელი ჯაბა დვალი, რომელსაც პირველ წრეში გოლები ბოლნისის „სიონისთვის“ გაჰქონდა, მეჩვიდმეტე ეროვნულის ბომბარდირი გახდა 21 გოლით.

დინამოელთა დამრიგებელი ანდრეი ჩერნიშოვი კი მატჩის არბიტრმა არსენ ნონიკაშვილმა გააძევა და ნამატჩევს ჩერნიშოვმა თქვა, მსაჯისთვის ცუდი არაფერი მითქვამს, ვუთხარი, ჯარიმა რატომ არ დანიშნე-მეთქი, მსაჯს ალბათ ჰგონია, რომ რადგან ვიტალი დარასელიას გააფრთხილებს და ჩერნიშოვს გააძევებს, მასზე გაზეთებში დაწერენ.

ჩერნიშოვმა ისიც თქვა, მეტოქიდან ვალერი გაგუას გამოვარჩევდი, „სოხუმს“ მისნაირი სამი-ოთხი ფეხბურთელი რომ ჰყოლოდა, ცხრილში უფრო ზევით იქნებოდაო.

დარჩება ჩერნიშოვი „დინამოში“? რუსმა მწვრთნელმა მოგვახსენა, ჩემსა და კლუბის ხელმძღვანელებს შორის არ ყოფილა იმაზე საუბარი, რომ ერთმანეთს ვშორდებითო.

...კარის გასწვრივ ლადო ბურდულის ჩაწოდება და დვალის გოლი; სანდრო კობახიძის მიერ მონაგრებული ჯარიმა, ბურდულის დარტყმა და 0:2 — ასეთი ფორის შემდეგ „დინამო“ თითქოს დაცხრა, ხოლო „სოხუმმა“ თავი გამოიდო და დავით კახელაშვილმა ზვიად სტურუას ახლო კუთხეში გაუტანა — 1:2. ცოტაც და, გაგუამ კინალამ ანგარიში გაათანაბრა — სტურუა მოხდენილად გაიწვართა ჰაერში და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ამის შემდეგ „დინამოს“ მართებდა უპირატესობის გაზრდა, მაგრამ სამჯერ გიორგი მერებაშვილმა გააცუდა საგოლე მომენტი, თითოჯერ კობახიძემ და დვალმა. ერთი სიტყვით, „სოხუმის“ კარში მესამე გოლი გადამწყიფდა და დვალმა ამ შეხვედრაში თავისი მეორე გოლი მაშინ გაიტანა, როცა სოხუმელთა მეკარე კონსტანტინე სეფიაშვილის შეცდომით ისარგებლა და შორი მანძილიდან ბურთი ცარიელ კარში გადაგზავნა.

„სოხუმმა“ ერთხელაც გაიბრძოლა, კახელაშვილმა ბურთი ძელ-ხარიხის გადაკვეთას გაარტყა და შეიძლება ითქვას, ყველაფერი ამით დამთავრდა — მეორე ტაიმში „დინამოს“ მეტოქე ვეღარ უძალიანდებოდა.

გოჩა ყორყოლიანი: რამდენიმე ისეთ ფეხბურთელი ვათამაშე, ძირითადში იშვიათად რომ ჩნდებოდნენ, რადგან მათთვის თავის გამოჩენის შანსი მიმეცა. ბოლო ტურში კარის გაჯახუნება გვინდოდა, მაგრამ...

გაფრთხილებულ გიორგი მერებაშვილს

დავით ყიფიანის სახელობის თასი
ფინალი
13 მაისი
სტადიონი მიხეილ მესხი
ამერი vs ზესტაფონი
www.pfl.ge
2003
2004
გენერალური სპონსორი
კოკა-კოლა
სპონსორები
BANK OF GEORGIA
მთავარი სპონსორი
აეროსელი
i'm lovin' it
ოფიციალური სპონსორი
აიფეი
საინფორმაციო მხარდაჭერა
სპორტი
სარბიელი
ოლიმპი
ღამიანი
24 საათი
ROS-C
BOX
დასაწყისი 20:00 საათზე
ბილეთის ფასი 2,3 ლარი

სტუმარმა იმერლებმა კახელებისა გაიტანეს

თელავი. 9 მაისი. 17 საათი. ბივი ჩოხელი. 2 200 (ტევადობა 6 000)

კახეთი 1:0 ზესტაფონი

1:0 ხიდეშელი (84ს.ჯ.)

კახეთი	ზესტაფონი
გ. იაშვილი, ტარუღაშვილი, კობაიძე, კვირკველია (ციკარიშვილი 72), გიორგობიანი (ბიძინაშვილი 61), კევლიშვილი, დ. ბურდული, ნ. დვითაშვილი, იმერლიშვილი, სოსელია, ვ. კობახიძე (არუდაშვილი 46)	რ. კვასხვაძე, გავაშელიშვილი, ხუმარაშვილი, ხიდეშელი, სანაია, გ. ჭელიძე, თარხნიშვილი, ძარია (ივანიშვილი 76), გორგიაშვილი (გელაჭვიშვილი 46), იმედაძე, ბ. გოცირიძე (ჯანელიძე 46)
სათადარიგონი: ცინაძე; კუპრაშვილი, ბედოიძე, ა. ბურნაძე	სათადარიგონი: ჯალაღონია; დაუშვილი, გიორგიძე, პანოვი
მწვრთნელი: ჯემალ მახარაშვილი	მწვრთნელი: კობა ყორგიკაშვილი

გაფრთხილება: ელაჭვიშვილი (61), ჯანელიძე (67), კობაიძე (74), გავაშელიშვილი (85)

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; მ. ურუშაძე, ზ. ასკაროღლი; ვ. ელისაბედაშვილი

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

გიორგი კაციტაძე თელავიდან

„ზესტაფონი“ თელავში, ფაქტობრივად, სათადარიგო შემადგენლობით ჩავიდა. იმერლებს მთავარი აქცენტი, რა თქმა უნდა, დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალზე აქვთ გადატანილი და „კახეთთან“ მატჩიც მათთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა.

პირველი ნახევარი ძალიან უინტერესო გამოდგა, ფეხბურთელები თითქოს ვალდებულებას იხდიდნენ და ცდილობდნენ, როგორმე გაეყვანათ ეს მტანჯველი 90 წუთი.

პირველ ტაიმში საგოლე მომენტი, ფაქტობრივად, არ შექმნილა. ფეხბურთელებს ბურთი საჯარიმო მოედნამდე თუ მიჰქონდათ, .იქ კი არაზუსტ პასს აკეთებდნენ და... ორივე გუნდის ფეხბურთელებმა ბურთი კარის მიმართულებით სულ რამდენჯერმე დაარტყეს, ეს იყო და ეს.

მასპინძელთაგან ყველაზე მეტად რატი იმერლიშვილი და მიხეილ სოსელია აქტიურობდნენ. პირველი ხიფათიც მათ შექმნეს — 18-ე წუთზე სოსელიამ კარგად დაამუშავა ბურთი და იმერლიშვილს გადააწოდა, თუმცა ამან ვერ იხეირა.

29-ე წუთზე პირიქით იყო — იმერლიშვილის პასით სოსელიამ ვერ გაიტანა.

სტუმრებმა ტაიმის ბოლოსლა შეუტიეს — გუნდის კაპიტანმა გიორგი ჭელიძემ კარგად შენიშნა გრიგოლ იმედაძე, მაგრამ თავდამსხმელის დარტყმული არაზუსტი აღმოჩნდა.

მეორე ტაიმში თამაშის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა. შეიძლება ითქვას, „კახეთმა“ აშკარად დაჯაბნა მეტოქე.

55-ე წუთზე ვასილ არუდაშვილმა და სოსელიამ კედელი გაითამაშეს — არუდაშვილის დარტყმული მცირეოდენ ასცდა კარს. მალე იმავ სოსელიამ ვერ გამოიყენა თითქმის ასპროცენტიანი შანსი, როცა მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კარს ვერ დაუმიზნა.

76-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა დიმიტრი ცისკარიშვილმაც გააცუდა მომენტი და მასპინძლები კინალამ დაისაჯნენ: რომ არა გიგა იაშვილის თავგანწირული თამაში, სტუმრები უთუოდ გაიტანდნენ.

და გოლიც: 81-ე წუთზე დავით ბურდულმა საჯარიმოში ორი მცველი მოატყუა და კარშიც დაარტყა — ბურთი გიორგი ხიდეშელს მოხვდა და 1:0.

პრესკონფერენცია

კობა ყორგიკაშვილი: თამაშის შედეგი ჩვენთვის სატურნირო თვალსაზრისით არაფერს წყვეტდა და მისასალმებელია, რომ ორივე გუნდი გამარჯვებისთვის იბრძოდა.

ჯემალ მახარაშვილი: „ზესტაფონს“ მშვენიერი თაობა ეზრდება. თამაში დამაბული საერთოდ არ ყოფილა და ორივე გუნდი თავისუფლად გრძნობდა თავს.

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — **მეორე წრე** — **30 ტური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოკა-კოლა
ბენეფიციარი საინფორმაციო
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ბათუმი. 9 მაისი. 17 საათი. დინამო. 2 500 (ტევადობა 5 000)

ბათუმი 1:1 ვიტ ჯორჯია

1:0 ონიანი (52), 1:1 იმედაშვილი (90)

ბათუმი: სომხიშვილი, გ. ონიანი, მახვილაძე, ექონია, მ. ლომიძე, ქებაძე, გვაზავა, რ. ონიანი, სეთურიძე, რ. ჯიქია (გ. მანწკავა 76), დვალიშვილი (ტიგო 85)
სათადარიგონი: თოთლაძე; ცანავა, კაკალაძე, გოგიშვილი, თ. უგრეხელიძე
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

ვიტ ჯორჯია: მიქაბერიძე, ჯაფარიძე, დ. ლომაია, ა. კვახაძე, გველესიანი, ფეიქრიშვილი, დიღმელაშვილი, გ. დათუნაიშვილი, იმედაშვილი, ბერიაშვილი, ღუჭაშვილი (მელქაძე 76)
სათადარიგონი: ღრუბელეიშვილი, აბშილავა, ცხომარია, კვაღინაძე, კლიმიაშვილი
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

გაფრთხილება: კვახაძე (34), დათუნაიშვილი (62), ჯიქია (90), იმედაშვილი (90), რ. ონიანი (90)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი; მ. ნაკაიძე

დამკვირვებელი: ი. ლორთქიფანიძე

ვიტ წინა ექვსი

ბათუმს რომ ეგონა, აბა, ვის ეგონა...

გიორგი მურვანიძე ბათუმიდან

უკვე შვიდი წელია, „ბათუმს“ „ვიტ ჯორჯიასთვის“ არ მოუგია. თბილისელებს მოგების შემთხვევაში ჩემპიონობის თეორიული შანსი რჩებოდათ — თუ „სიონი“ ქუთაისში წააგებდა, ყველაფერი „ოქროს მატჩში“ გადაწყდებოდა.

შეხვედრა სტუმართა აქტიურობით დაიწყო. ვასილ ღუჭაშვილი ზედიზედ სამჯერ დაემუქრა გიორგი სომხიშვილის კარს, თუმცა ამაოდ.

ამის შემდეგ თამაშის ტემპი დაეცა, უნიათო ბურთაობა იყო, მაგრამ ტაიმის ბოლოს „ბათუმმა“ სიჩქარე აკრიფა და მეტოქის ნახევარზე დასახლდა.

ერთ-ერთ შეტევას მსაჯ ლევან ფანიაშვილის აშკარა შეცდომა მოჰყვა: ლევან გვაზავა რევაზ ჯიქიას აწვდიდა საჯარიმოში, მაგრამ ალექსანდრე კვახაძემ ბურთს ხელი მოჰკიდა და... კვახაძე აშკარად გაძევების ღირსი იყო, ფანიაშვილმა კი ოდენ ყვითელი ბარათი აკმარა.

ვიტელთა კართან შტურმი კარგა ხანს გაგრძელდა: გვაზავას გასროლილი არდალიონ მიქაბერიძემ მოიგერია, დამატებაზე გიორგი სეთურიძემაც ვერ იმარჯვა — მიქაბერიძემ კუთხურზე გადააგდო ბურთი.

მეორე ტაიმიც დაიწყო და მასპინძლებმაც მალევე გაიხარეს: მარჯვენა ფლანგზე სეთურიძემ ზურაბ ზურაბ ექონიას მიაწოდა ბურთი, მანაც საჯარიმოში გადაგზავნა, არეულობაში როინ ონიანმა იმარჯვა და 1:0.

„ვიტ ჯორჯიამ“ გასათანაბრებლად გაიწია და უპირატესობასაც დაეუფლა, სომხიშვილსაც საქმე მოუმრავლდა.

და მაინც, როცა ყველას ეგონა, რომ „ბათუმი“ მოიგებდა, დამატებულ წუთებზე ანგარიში გათანაბრდა. დავით იმედაშვილმა დაახლოებით 35 მეტრიდან დააქუხა, მეკარის ნახტომი ამაო იყო — 1:1.

არჩილ სახვაძის საგოლე თავური რევაზ ნაჭყებიას კარში

უქმეებდე ისეთი საქმეა...

კობა ინასარიძე

ჩემპიონატი გუშინ კი დამთავრდა, მაგრამ „ამერსა“ და „თბილისს“ მთავარი მატჩები წინ აქვთ. ამერელთა საამსეზონო საქმეს, უკვე რა ხანია, საქართველოს თასის მოპოვება ჰქვია და, აბა, რა ახსნა-განმარტება სჭირდება იმ ფაქტს, რომ „ყვითლები“ ერთი თვეა, ჩემპიონატის მატჩებს სწორედ სათასოდ მოსამზადებლად იყენებენ და მათი სათასო ამბიცია 13 მაისს გამოიცდება. ხოლო „თბილისის“ ამბავი ჯერ გაურკვეველია — პროფლიგას უმაღლესი ლიგის აუტსაიდერთა და პირველი ლიგის მესამე-მეოთხეადგილოსანთა გადათამაშების თარიღი არ დაუზუსტებია. არადა, ბოლო ტურის წინ სატურნირო ცხრილში ისეთი ვითარება იყო, „თბილისს“ შანსი ჰქონდა, უძლიერესთა შორის ზედმეტი ხლაფორთის გარეშე დარჩენილიყო. საამისოდ „თბილისს“ „ამერისთვის“ უნდა მოეგო, „დილასა“ და „ცხინვალს“ კი, შესაბამისად, შინ „ბორჯომთან“ და სტუმრად „კოლხეთთან“, წაეგოთ. „დილამ“ მოიგო და საამისოდ, საფიქრალია, „თბილისი“ მზად იყო. გოჩა ტყებუჩავამ „ამერთან“ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი მარტივი მიზეზის გამო დაასვენა — თორნიკე აფციაური, გოჩა ხოჯავა, რევაზ ბარბაძე, ნიკა გუშარაშვილი და ლევან კვარაცხელია შესაძლო იყო, „ამერთან“ დაშავებულიყვნენ ანაც ყვითელ-წითელი ბარათები მიეღოთ და გადათამაშებას გამოკლებოდნენ.

მოკლედ, ტყებუჩავამ „ამერთან“ უძლიერესი შემადგენლობა არ ათამაშა და არც მის კოლეგა გიორგი ჩიხრაძეს დაუხვედრებია ბევრჯერ ნაცადი შემადგენლობა. ერთხელაც ვთქვათ, „ამერს“ თასი სურს და

თბილისი. 9 მაისი. 17 საათი. ამერი. 600 (ტევადობა 900)

ამერი 0:2 თბილისი

0:1 სახვაძე (17), 0:2 ბურნაძე (80)

ამერი: ნაჭყებია, დ. მჭედლიშვილი, გვაძაბია (მეტონიძე 78), გ. კვახაძე, ჩიკვილაძე, გარუჩავა, ნიკოლაიშვილი, დოლიძე (მ. ჯიშკარიანი 61), კაიდარაშვილი, ტატანაშვილი, ჩიმაკაძე (ბერიანიძე 66)
სათადარიგო: გვენცაძე
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

თბილისი: თევდორაძე, ქორიძე, მაჭავარიანი, მიქიაშვილი, ხოხონიშვილი, მ. ბურნაძე, ბესარაშვილი, კაკაბაძე, სახვაძე, ზირაქიშვილი (მ. ბარბაძე 61), ვ. კვარაცხელია
სათადარიგონი: მ. ალავიძე; გ. დარასელია, მ. ხუციშვილი, ოდიშარია, პაჭკორია, გურეშიძე
მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

გაფრთხილება: ქორიძე (42), ხოხონიშვილი (56), ვ. კვარაცხელია (75), ჩიკვილაძე (78)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ზ. ჯვარიძე, გ. ყრუაშვილი; დ. ხარიტონაშვილი

დამკვირვებელი: ო. რუხაძე

საამისოდ ემზადება, „თბილისის“ ხელმძღვანელობა კი ალბათ ეჭვობდა, რომ გადათამაშებას თავს ვერ დააღწევდა.

...თავიდან უპირატესობა „ამერისა“ იყო, თუმცა პირველი რეალური ხიფათი მასპინძელთა კართან შეიქმნა — მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმო მოედნამდე არმისულმა მურთაზ ბურნაძემ შორეული კუთხისკენ დაარტყა, მაგრამ მიზნამდე სულ ცოტა დააკლდა. მერე მოედანზე მეტწილად ბურთიანი „ამერი“ და ნახევრადსახიფათო მომენტები ჩანდა, გოლი კი მასპინძელთა კარში ვნახეთ: ბურნაძის ჩაწოდებულს შორეულ ძელთან არჩილ სახვაძე დახვდა და თავურით დააწინაურა თავისიანები. ეს ამბავი მე-17 წუთზე მოხდა და მერე ისეთი საინტერესოც არაფერი ყოფილა, დაწვრილებით აღვწეროთ — ბურთი ისევ „ამერის“ იყო, „თბილისი“ კი თავს კარგად იცავდა. თუმცა „ამერს“ ერთხელ ძალიან რეალური მომენტი გაუცუდდა. გიორგი ნიკოლაიშვილის ჩაწოდებულ ბურთს მცველ-ფორვარდები ერთად რომ აცდნენ, გრიგოლ დოლიძე საჯარიმოს კუთხესთან მარტოდ დაუხვდა და... ძალიან ძლიერად, შეუჩერებლად კი დაარტყა, მაგრამ რევაზ თევდორაძემ წარმოუდგენელი რეაქციით შეძლო ბურთის მოგერიება.

მეორე ტაიმიც პირველივით დაიწყო. ბურთი „ამერს“ ჰქონდა, „თბილისი“ კი კონტრშეტევებს ცდილობდა. საქმე ხეირიანად არც ერთს გამოსდიოდა, არც მეორეს.

მერე შეცვლების დროც დადგა. „ამერმა“ ვეტერანი მიხეილ ჯიშკარიანი დაიხმარა, „თბილისმა“ კი შუა ხაზი გააძლიერა. საგოლე მომენტებმაც შესაბამისად კიდევ უფრო იკლო, ბურთი მეტწილად მოედნის შუაში დაგორავდა. ამასობაში გიორგი ჩიხრაძემ კიდევ ერთი შეცვლით ტაქტიკური ნახაზი ხუთკაციან ნახევარდაცვაზე გადააწყო, მაგრამ ანგარიშის გასათანაბრებლად არც ეს გამოდგა საკმარისი, პირიქით, „თბილისმა“ იდროვა და ბურნაძემ პენალტის ნიშნულის სიახლოვიდან რევაზ ნაჭყებიას აუღებელი დაურტყა. ერთ-ორ წუთში კი თავსხმა დაიწყო და თამაში ამინდივით უფრო გაფუჭდა...

ერთად გავიხსენოთ
თბილისის “დინამოს”
დიდი გამარჯვება!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და
საქართველოს ეროვნული მუზეუმი გეპატიჟებათ
11-14 მაისს ქარვასლაში 1981 წლის 13 მაისის
25 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 38 11 14, 877 54 55 00

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
ბენერალური საინფორმაციო

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 30 ტური

რა დროს ორჭოფობაა

კოლხეთმა უმაღლესი ბოლოსთვის შეემოინახა

ფოთი. 9 მაისი. 17 საათი. ფაზისი. 500 (ტევადობა 6 000)

კოლხეთი 3:0 ცხინვალი

1:0, 2:0 წიქარიშვილი (75, 83), 3:0 ქუთათელაძე (88პ)

კოლხეთი	ცხინვალი
ლატარია, კილასონია (გონგაძე 88), ნარსია, ფარულავა, ზ. რაზმაძე (ყურაშვილი 44), კრასოვსკი, ვართაგავა, ზ. ჯანაშია, მარგალიტაძე, ზ. ქუთათელაძე (სოლომონია 89)	ო. ბობოხიძე, ეჯოშვილი, ხოხობაშვილი, გ. ლომიძე, მაისურაძე, ნ. ნოზაძე, ახალკაცი (ხაჩატურიანი 80), მ. თაყაძე (ზ. დვალი 77), დ. ხანიშვილი, ბოლოთაშვილი (ცარიცაშვილი 85), მძინარიშვილი
სათადარიგო: ხარძეიშვილი; ლოლუა, წაბრია, ნოდია	*სათადარიგო:* ქესანაშვილი
მწვრთნელი: სოსო ფილია	მწვრთნელი: ივანე თაყაძე

გაფრთხილება: ახალკაცი (51), ბობოხიძე (75)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. ერქვანია, ე. ნარმანია; პ. დოგრაშვილი

დამკვირვებელი: ო. გუნთაძე

გოჩა ჯანაშია ფოთიდან

გუშინ „ფაზისზე“ გასარკვევი გაირკვა და „კოლხეთი“ უმაღლეს ლიგაში დარჩა, „ცხინვალს“ კი პლეი ოფში თამაში შერჩა. მასპინძლებს ფრეც ხელს აძლევდათ, თუმცა საორჭოფოდ საქმე არ გაუხდიათ და მთელი მატჩი მობილიზებულად ჩაატარეს. ერთია, შედეგი ფოთელებმა ბოლო 15 წუთში მიიმკეს.

სოსო ფილიას შეგირდთა უპირატესობა თავიდანვე ნათელი გახდა და მე-17 წუთიდან ზვიად ქუთათელაძის სახიფათო დარტყმით დაიწყო სტუმართა თავსატეხი. მალე მეკარე ოთარ ბობოხიძის შეცდომის შემდეგაც მიეცა „კოლხეთს“ შანსი, მაგრამ „ცხინვალი“ აქაც გადაურჩა გოლს.

განსაკუთრებით ტაიმის ბოლო 15 წუთში გაუჭირდათ შიდაქართლელებს. ჯერ იყო და, მანუჩარ წიქარიშვილმა მეკარესთან პირისპირ გასვლისას ვერ ივარგა, რასაც მალე ფარულავას და ჯანაშიას დარტყმულებიც მოჰყვა — საქმეში ორივეჯერ ხარიხა ჩაერია. ტაიმის ბოლოსკენ ისე რა მომენტები სტუმრებმაც შექმნეს, თუმცა ორივე ეპიზოდში ლევან ლატარიამ იყოჩაღა.

...სურათი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. „კოლხეთი“ ისევ გატანას ლამობდა, მაგრამ გოლამდე მეტოქეებმა თითო მომენტი გაცვალეს: გიორგი კრასოვსკიმ ლამის ცარიელ კარში ვერ გაიტანა, რასაც სტუმართა პასუხი მოჰყვა — „კოლხეთი“ გოლს გადაურჩა და 75-ე წუთზე იქით გაიტანა: წიქარიშვილმა ბობოხიძესთან ჭიდილში ბოლომდე იბრძოლა, მისი შეცდომით ისარგებლა და 1:0.

ეს იყო და, „ცხინვალი“ აირია, რასაც ორი ლოგიკური გოლიც მოჰყვა: იმავ წიქარიშვილმა სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობა მეორე გოლად აქცია, ხოლო საბოლოო წერტილი ქუთათელაძემ დასვა — პენალტი ზუსტად შეასრულა და „ცხინვალს“ საპლეიოფო განაჩენი გამოუტანა 3:0.

გორი არ ჩაგორდა

გორი. 9 მაისი. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 400 (ტევადობა 8 230)

დილა 2:0 გორჯომი

1:0 თურმანიძე (36), 2:0 ვაჩეიშვილი (48)

დილა	გორჯომი
თ. ილურიძე, საყვარელიძე, მასურაშვილი, გალოგრე, დ. ნადირაძე (ლავრელაშვილი 58), ტლაშაძე, შატაკიშვილი, თურმანიძე, ოლგესაშვილი (ვაჩეიშვილი, 46), ალ. ლაბაძე, ზ. ჭელიძე	ზ. მამალაძე, ლ. მერებაშვილი, ს. ბურნაძე, ბაქრაძე, ვ. გოჩაშვილი, მ. მესხი (მემარნიშვილი 51), სანიკიძე, გ. ჩხეტიანი, გაბისკირია, გეწაძე (ტალახაძე 86), დე პორასი (თედიაშვილი 72)
სათადარიგო: გეგეშიძე; გ. ლაბაძე, კობახიძე, კვირიკაშვილი	*სათადარიგო:* მამარდაშვილი, ნ. ლომიძე
მწვრთნელი: მალხაზ ლაცაბიძე	მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

გაფრთხილება: დე პორასი (45), საყვარელიძე (60)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. გაბრიაძე, გ. დოგრაშვილი; მ. ბეუქლიშვილი

დამკვირვებელი: რ. ტალიაშვილი

ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან

უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის გადამწყვეტი მატჩში „დილამ“ საწადელს მიაღწია. წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ფეხბურთელები მალე შეეგუენენ ატალახებულ მოედანს და თამაშიც საკმაოდ სწრაფ ტემპში დაიწყო.

მატჩის დასაწყისში გუნდები ფხიზლად აკონტროლებდნენ ერთმანეთს, თუმცა შემდეგ გორელთა უპირატესობა გამოიკვეთა.

მე-10 წუთზე ტლაშაძე-შატაკიშვილის კომბინაციის შემდეგ ჭელიძემ თავით სახიფათოდ დაარტყა კარში, მაგრამ არაზუსტად.

„ბორჯომი“ ძირითადად ფლანგებიდან უტევდა, მაგრამ „დილას“ დაცვა ყველა შეტევას ახშობდა. 25-ე წუთზე თურმანიძე აღმოჩნდა კარგ პოზიციაში, დაარტყა კიდეც კარში, მაგრამ მამალაძე ადგილზე დახვდა ბურთს; ორი წუთის შემდეგ შატაკიშვილის ჩაწოდებულს ჭელიძის თავური მოჰყვა და კვლავ მამალაძემ იყოჩაღაა.

„დილამ“ შეტევები გააძლიერა და მალე გოლიც გაიტანა — 36-ე წუთი იყო, როცა შატაკიშვილმა სტუმართა საჯარიმოსთან ჩაჭრა ბურთი და ერთი შეხებით თურმანიძეს გადააწოდა. ბურნაძემ ხელით მოინდომა პასის ჩაჭრა, მაგრამ მსაჯმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, თამაში არ გააჩერა, ბურთმაც მაინც მიაღწია თურმანიძემდე და 1:0.

ტაიმის ბოლომდე „დილას“ შეტევები არ დაუკლია, მაგრამ უშედეგოდ...

მეორე ნახევარიც გორელთა უპირატესობით დაიწყო.

48-ე წუთზე გორელებმა ისევ გაიხარეს — თურმანიძემ საჯარიმოში მყოფ ჭელიძეს მიაწოდა, რომლის დარტყმულიც მეკარემ კი მოიგერია, თუმცა ბურთი შეცვლაზე შესულ ვაჩეიშვილს მიუვიდ — 2:0.

გორელებმა დამაჯერებლად განაგრძეს თამაში. 63-ე წუთზე „დილამ“ კიდევ ერთი მომენტი შექმნა სტუმართა კართან, როცა კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თურმანიძემ თავით გადაგზავნა კარში, მაგრამ კვლავ მამალაძემ ითამაშა ზუსტად.

ცოტა ხანში სტუმრებმაც გაიწიეს წინ და 74-ე წუთზე იური გაბისკირიას ძლიერი დარტყმა თამაზ ილურიძემ გაჭირვებით მოიგერია.

„დილას“ ანგარიშის შენარჩუნება აღარ გასჭირვებია და უმაღლესი ლიგაში ადგილი შეინარჩუნა.

პრემიერლიგა

ვლადიმერ ხაჩიძე: ვულოცავ გორელებს ლიგაში დარჩენას. ჩემთვის ჩვენ ნაკლები მოტივაცია გვქონდა. მასპინძლებმა კი მონდომებით ითამაშეს და მოგვიგეს კიდეც.

მალხაზ ლაცაბიძე: ვულოცავ ჩემ გუნდს უმაღლეს ლიგაში დარჩენას, რაც დღეს მძიმე ბრძოლაში გამარჯვებით შევძელით. მინდა, დახმარებისთვის მადლობა ქალაქის ხელმძღვანელობას გადავუხადო.

თბილისი. 9 მაისი. 17 საათი. ოლიმპი. 200 (ტევადობა 2 000)

ლოკომოტივი 3:1 სპარტაკი

1:0 ჩივაძე (54), 2:0 ულენტი (57), 2:1 გაგნიძე (63პ), 3:1 ულენტი (90პ)

ლოკომოტივი	სპარტაკი
ლ. ლომიძე, ავალიანი, ფურთუხია, თუთბერიძე, გულორდავა, ბარბაქაძე, ყენია (გ. ყიფიანი 56), ბახტაძე (პეტროსიანი 46), ჩივაძე, მ. ულენტი, გ. კახელიშვილი	ნაფეტვარიძე, გაგნიძე, თ. მჭედლიშვილი, ჯანგიძე, ტაბიძე (მაღლაფერიძე 57), მაისაშვილი, ილ. მოდებაძე, ჯიბლაძე (ტაბატაძე 57), ოქროშიაშვილი, მ. ლობჟანიძე, კ. შალამბერიძე (ღამაძე 18)
სათადარიგო: ჩალაძე; მიხაილიდი, ებრალიძე, ხორგუაშვილი, მენაბდე	*სათადარიგო:* დანელია, ლიპარტელიანი, კობალაძე
მწვრთნელი: სოსო სირაძე	მწვრთნელი: ჯუმბერ აბაშიძე

გაფრთხილება: კახელიშვილი (78), ჩივაძე (86), ულენტი (90)

გაძევება: ნაფეტვარიძე (18)

მსაჯები: ა. ორდინიძე; გ. ცირდავა, ნ. რუსიშვილი; მ. მაისურაძე

დამკვირვებელი: მ. ჭელიძე

სპარტაკი ავდარმა გააცილა

ილია ნანობაშვილი

შუაგულ ტყესავით დაბურულობა, თქეში და ქარი — ასეთი ავდარით დამთავრდა მატჩი, რომელმაც „ლოკომოტივს“ მეორე წრეში პირველი მოგება მოუტანა, „სპარტაკი“ კი მორიგი წაგებით გაისტუმრა პირველ ლიგაში.

ნამატჩევს ავთანდილ ორდინიძე გააცილეს მსაჯობიდან: სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე ამირან კაჭახიძემ, შეხვედრის თანამსაჯებმა და რამდენიმე ქალმა არბიტრმა ორდინიძეს თაიგული გადასცეს და დატოვეს. კაჭახიძემ აღნიშნა, ყველა მსაჯს ასე გავაცილებთო.

„ოლიმპზე“ გამართული მატჩი ერთადერთი იყო ტურში, რომელშიც არანაირი ინტრიგა არ მოიძებნებოდა. „სპარტაკს“ მე-18 წუთზე მეკარე დავით ნაფეტვარიძის გაძევებით დაუმძიმდა საქმე — მან „ლოკომოტივის“ შეტევა საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშით გააჩერა და წითელი ბარათიც აენთო. რკინიგზელებმა ფორა იგრძნეს და შეტევებს მიეძალნენ, სულ მალე გიორგი ჩივაძის დარტყმული „სპარტაკის“ მცველებმა გამოიტანეს კარიდან და დამატებაზე ლევან ყენიამ ააცილა. ეს იყო და ეს — პირველ ტაიმშიც და მეორეშიც „ლოკომოტივის“ ფორვარდებს მომენტები უმეტესად თამაშგარეში ჩარჩენის გამო უფუჭდებოდათ.

მეორე ნახევარი სპარტაკელებმაც მხნედ დაიწყეს და გიორგი მაისაშვილის თავური მცველებმა ძლივს გამოიტანეს კარიდან, იქვე სამწუთიან მონაკვეთში ჯერ გივი ოქროშიაშვილი, მერე კი ილია მოდებაძე წაიქცნენ მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ ორდინიძეს სასტვენი არ აუხმაურებია. სამაგიეროდ, „სპარტაკი“ მესამე საჭოჭმანო მომენტში დასაჩუქრდა პენალტით: 63-ე წუთზე მიხეილ ლობჟანიძე მოცელეს და დავით გაგნიძემ შეაგდო.

...თუმცა ამ ამბამდე „ლოკომოტივს“ უკვე 2:0 მიჰყავდა. ჩივაძემ 54-ე წუთზე თავად გაიტანა 10-15 მეტრიდან, სამ წუთში კი გიორგი კახელიშვილის გრძელი პასის შემდეგ ფლანგიდან დააბზრიალა საჯარიმოში და მიხეილ ულენტმა ერთი შეხებით ააფართხალა ბურთი ბადეში.

2:1-ის შემდეგ კი ტემპმა იკლო, თან ისე მოიღრუბლა და დაუბერა, პროექტორები რომ ყოფილიყო „ოლიმპზე“, ანთება ალალი იქნებოდა. „სპარტაკი“ კი ცდილობდა შეტევას, მაგრამ რკინიგზელები რიცხობრივ უპირატესობას კარგად იყენებდნენ, ხშირად ეხსნებოდათ დერეფანი და როგორც გითხარით, ხან თამაშგარე მდგომარეობაში ხვდებოდნენ, ხანაც უმოწყალოდ ანიავებდნენ შანსებს.

მესამე და წელში გამტეხი გოლი კი ისევ ულენტმა გაიტანა: პირისპირ გავიდა მეკარესთან და უმარტივესად დაარტყა — 3:1.

საინტერესოა, ორივე გუნდის საშუალო ასაკი რომ გამოგვეთვალა, თინეიჯერულ რიცხვს გავცდებოდით? „სპარტაკიც“ და „ლოკომოტივიც“ მეტწილად ამოუცდელი ახალგაზრდებით თამაშობენ, მაგრამ ის განსხვავებაა, რომ რკინიგზელებს საპირველწრეო ბარაქა ეყოთ უმაღლესში დასარჩენად, სპარტაკელებს კი...

სიონი	30	23	4	3	57:17	73
ვიტ ჯორჯია	30	21	5	4	54:17	68
დინამო	30	20	4	6	61:22	64
ზესტაფონი	30	18	7	5	44:22	61
ბორჯომი	30	19	2	9	50:26	59
ბათუმი	30	17	7	6	42:22	58
ამერი	30	15	4	11	32:26	49
ლოკომოტივი	30	11	4	15	41:48	37
ჯახეთი	30	10	4	16	32:46	34
კოლხეთი	30	9	5	16	26:36	32
დილა	30	9	4	17	35:45	31
ტორპედო	30	8	6	16	28:42	30
თბილისი	30	9	2	19	28:43	29
ცხინვალი	30	8	3	19	30:61	27
სოხუმი	30	5	3	22	26:70	18
სპარტაკი	30	3	6	21	12:57	15

კმარა რო კარარო?



კარარო შარს გაერიდა

ფრანკო კარარო იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობიდან გადადგა, გადადგომის მიზეზად კი აპენინების საფეხბურთო ცხოვრებაში ბოლო დროს აგორებული სკანდალი დაასახელეს. კერძოდ, მას მერე, რაც გაზეთებმა „გაძეტა დელო სპორტმა“ და „კორიერე დელა სერამ“ ტურინის „იუვენტუსის“ გენერალური მენეჯერის ლუჩანო მოჯისა და მატჩებზე მსაჯთა გამანაწილებლის, პიერლუიჯი პაირეტოს სატელეფონო საუბრები გამოაქვეყნეს, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მისამართით უამრავი კითხვა წარმოიშვა და კარარო, როგორც ორგანიზაციის შეფი, დიდი ზეწოლის ქვეშ მოექცა. თავიდან კარაროს რეაქცია მრისხანე გახლდათ, ამბობდა, ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო მართლმსაჯულება ყველაფერს გაარკვევს და დამნაშავეებს საკადრის ადგილს მიუჩენსო, მაგრამ არ აცალეს. თურმე, ფედერაციის პრეზიდენტი იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ორ წამყვან ფიგურას, რაფაელე პანიოცისა და ჯანი პეტრუჩის შეხვედრია და ამ შეხვედრაზე გადაწყვეტილა კიდეც მისი გადადგომის ამბავი. შეგახსენებთ, რომ იტალიაში სპორტს თავის ფეხბურთიანად ოლიმპიური კომიტეტი ხელმძღვანელობს.

ახლა, ფრანკო კარაროს თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, ფედერაციის პირველ პირად ავტომატურად იქცა ვიცე-პრეზიდენტი ჯანკარლო აბეტე.

„ფრანკო კარარომ ვაჟკაცური ნაბიჯი გადადგა — განაცხადა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ — მისი ასეთი საქციელი არ გაჰკვირვებია ხალხს, ვინც მას იცნობს. იტალიურ ფეხბურთს სწორედ მისნაირი პრეზიდენტი სჭირდება, კომუნიკაბელური და ჭკვიანი. ვიმედოვნებ, რომ კარარო თანამდებობას დაუბრუნდება“.

იტალიის ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტი სერჯო კამპანა: „ჩვენ სისტემის რადიკალური ცვლილება გვჭირდება. უნდა მოვითხოვოთ სამართლიანობა და თან ისეთი, რომ სასჯელი დანაშაულის ადეკვატური იყოს, ხოლო ფეხბურთის ფედერაციამ სპორტის ამ სახეობას ხალხის ნდობა უნდა დაუბრუნოს“.

პაპუნა კედია

ჯანკარლო აბეტე და ადრიანო გალიანი

ვან ნისტერლოიმ რონალდუ გალანძღა

მამაშენი კარლუში

პორტუგალიელმა ჰოლანდიელს მამის გინება არ აპატია

რუუდ ვან ნისტელროის „მანჩესტერ იუნაიტედი“ 10 მილიონ გირვანქად ყიდის. როგორც ამბობენ კლუბს, ისე კი, რა თქმა უნდა, სერ ალექს ფერგიუსონს, ვან ნისტელროის კრიშტიანუ რონალდუს წინააღმდეგ მეორე ლაშქრობა არ ეპიტნავა. თურმე ნუ იტყვით და ჰოლანდიელმა ყმაწვილ რონალდუს უთხრა, ფერგიუსონის პორტუგალიელი ასისტენტი კარლუშ კეირუში მამაშენიაო. რონალდო ამ ნათქვამმა აღაშფოთა, რადგან მამა დენის ალვარო სექტემბერში გარდაეცვალა და გასაგებად უთხრა თანაგუნდელს, ამ მამის თემას ნუ შეეხებიო, მაგრამ ვან ნისტელროიმ ერთხელ დაწყებული აღარ დაამთავრა და როგორც ასეთ დროს ხდება, საბოლოოდ საქმე მუშტიკრივამდე მივიდა.

ზოგადად, „იუნაიტედში“ სხვა მოთამაშეებსაც შეუმჩნევიათ, რომ კარლუშ კეირუში თანამემამულე ყმაწვილს გამორჩევით ეპყრობა, მაგრამ ამჯერად ვან ნისტელროის მხარი ვერავინ ვერ დაიჭირა.

რაც შეეხება ფერგიუსონისა და ჰოლანდიელის ურთიერთობას, ის მთელი სეზონის განმავლობაში უარესდებოდა. ბოლო ხანს მწვრთნელი და თავდამსხმელი ერთმანეთს არც კი ელაპარაკებოდნენ, ხოლო, როდესაც კვირას, „ჩარლტონთან“ ძირითად შემადგენლობაში ვან ნისტელროიმ თავი ვერ იპოვა, გასახდელი დატოვა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა სტადიონიდან.

„რუუდი „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ თვითონ არ წასულა, გაუშვეს. ამჯერად მომხდართან დაკავშირებით არანაირ კომენტარს არ გავაკეთებთ, რადგან მიზანშწონილად დუმილი მიგვაჩნია. გარდა ამისა, იმას, რასაც ფერგიუსონი მედიის საშუალებით აკეთებს, კადრება უნდა, ჩვენ კი აქამდე არ დავეცემით“ — განაცხადა ჰოლანდიელის აგენტმა.

აქვე გთავაზობთ იმ ფეხბურთელების ჩამონათვალს, რომლებიც ალექს ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ თვალსაჩინოდ გაავდო.

პოლ ინსი გუნდის ხერხემალი გახლდათ, მაგრამ როდესაც მისმა გავლენამ მეტისმეტად იმატა, ფერგიუსონმა იგი 7 მილიონ გირვანქად მილანის „ინტერს“ მიჰყიდა.

დევიდ ბექემის წონასა და მნიშვნელობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ ფეხბურთელის მზარდმა პოპულარობამ, განსაკუთრებით, შოუ ბიზნესის ვარსკვლავ ვიქტორია ადამსზე ქორწინების შემდეგ მწვრთნელი შეაშფოთა. „არსენალთან“ სათასო იამაშის წაგების შემდეგ ფერგიუსონმა მოთამაშეს გასახდელში ბუცი გაარტყა სახეში და ბოდიშის მოხდაზე უარი განაცხადა.

იან სტამმა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში გამოთქვა ისეთი შეხედულებები, რომლებიც ფერგიუსონს არ ესიამოვნა და 16 მილიონ დოლარად იგი „ლაციოს“ მიჰყიდა.

პაპუნა კედია

რონალდმა გუსობა უნდა შეძლოს

რონალდ კუმანმა ლისაბონის „ბენფიკას“ მწვრთნელის თანამდებობა დატოვა და სამშობლოში, ჰოლანდიაში, „პსვ ეინდჰოვენს“ ჩაუდგა სათავეში. „ეინდჰოვენისა“ და კუმანის თანამშრომლობა კონტრაქტის თანახმად ორი წელიწადი უნდა გაგრძელდეს.

„ფანტასტიკურია — განაცხადა პსვ-ს ახალმა მწვრთნელმა კონტრაქტის ხელმოწერასთან დაკავშირებულ პრეს-კონფერენციაზე — დავბრუნდი კლუბში, რომელმაც ცხოვრებაში ბევრი დიდებული წუთი მაჩუქა. ეინდჰოვენში ჩემი სამწვრთნელო კარიერის მორიგ ეტაპზე გადავალ და არანაირი გამოწვევიდან უკან არ დავიხევ“.

შეგახსენებთ, რომ რონალდ კუმანმა „ბენფიკა“ იტალიელი ჯოვანი ტრაპატონისგან ჩაიბარა და პორტუგალიის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გაიყვანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლისაბონელები ჩემპიონთა ლიგის მომავალი გათამაშების ჯგუფში ავტომატურად ვერ შევლენ.

ეინდჰოვენში, კუმანს ახალი რთული ამოცანა ექნება დასაძლევი. საქმე ის გახლავთ, რომ „პსვ“-ს ოთხი წლის განმავლობაში წარმატებით ედგა სათავეში გუს ჰიდინკი. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა 2003, 2005 და 2006 წლებში ჰოლანდიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ჰიდინკისა და მისი გუნდისთვის განსაკუთრებით წარმატებული შარშანდელი წელიწადი გამოვიდა, როდესაც „პსვ“ ჰოლანდიის ჩემპიონიც გახდა, თასიც მოიგო და ჩემპიონთა ლიგაშიც ნახევარფინალში გავიდა, სადაც „მილანთან“ ორი თამაშის ჯამში ფრედ ითამაშა და მხოლოდ და მხოლოდ შინ გაშვებული მეტი გოლის გამო წაგო.

შეგახსენებთ, რომ გუს ჰიდინკი ამჟამად ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელია, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კი რუსეთის ნაკრებს ჩაუდგება სათავეში.

აღსანიშნავია, რომ ჰიდინკს „პსვ“-ში თავის შემცვლელად ასისტენტის, ფრედ რუტენის დატოვება უნდოდა, მაგრამ რუტენი და ჰიდინკის კიდევ ერთი თანაშემწე, რენე ეიკელკამპი „ტვენტეში“ წავიდნენ. ჰოლანდიური გაზეთების ცნობით რონალდ კუმანის ასისტენტად იან ვატერეუსი იმუშავებს.

პაპუნა კედია

პირველბუკანო

ჟუნინიო

საფრანგეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ სეზონის საუკეთესო მოთამაშედ „ლიონის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი ჟუნინიო პერნამბუკანო დაასახელა. მეორე ადგილზე ჟუნინიოს თანაგუნდელი სილვენ ვილტორდი გავიდა, მესამეზე კი — პსჟ-ს პორტუგალიელი ფორვარდი პედრო პაულეტა.

საუკეთესო მწვრთნელად „ლილის“ თავკაცი კლოდ პუელი აღიარეს, რომელმაც ლიონელი ჟერარ ულიე და „ლე მანის“ მწვრთნელი ფრედერიკ ჰანტცი ჩამოიტოვა.

მეკარეებში, ზედიზედ მეორე წელია, პირველობას არავის უომობს ლიონელი გრეგორი კუპე, ხოლო ახალგაზრდებში საუკეთესოდ „მარსელის“ ნახევარმცველი ფრანკ რიბერი მიიჩნიეს, რომელსაც ზიდანობას უწინასწარმეტყველებენ.

UEFA CUP FINAL

EINDHOVEN 2006

სევილია (ესპანეთი) VS მიდლსბრო (ინგლისი)

დღეს. 22.45. ეინდჰოვენი. „ფილიპსი". მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

სავარაუდო შემადგენლობა

1. ანდრეს პალოპი (32 წლის) — შარშან ზაფხულში გადავიდა „ვალენსიადან", სადაც ექვსი წელი სანტიაგო კანისარესის ჩრდილში გაატარა. მწვრთნელი მისით ძალიან კმაყოფილია და მომავალ სეზონშიც „სევილიაში" იქნება. საიმედოა ხაზზეც და გამოსვლაზეც.

2. ხავი ნავარო (32) — ცენტრალური მცველი, მებრძოლი ხასიათის გამო ფანების ჯილა გახდა. კარგად ასრულებს საჯარიმო დარტყმებს.

3. დავიდ კასტედო (32) — მარცხენა მცველი. ექვსი წლის წინ მივიდა „სევილიაში" „მალიორკადან" და უმალ დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში.

6. ჟულიენ ესკუდე (27) — „აიაქსის" სკოლაგამოვლილი ფრანგი მცველი, რომელსაც ცენტრალურ მცველად და საყრდენ ნახევარმცველადაც შეუძლია თამაში.

4. დანიელ ალვესი (25) — საკმაოდ სწრაფი მარჯვნა ნახევარმცველი. 2003 წელს ბრაზილიის ნაკრებში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო. მისი ყიდვა „ლივერპულს" უნდა.

15. ხესუს ნავასი (20) — ამბობენ, ხოსე ანტონიო რეისზე უფრო ნიჭიერიაო, რომელიც „არსენალმა" წაიყვანა. ძალიან სწრაფია და მცველებს მოსვენებას არ აძლევს.

25. ენცო მარესკა (26) — „ფიორენტინადან" გადასული იტალიელი. პენალტების შესრულება მას ავალია.

11. რენატო (26) — „სანტოსიდან" შარშან იყიდეს, მაგრამ ბრაზილიელი „სევილიაში" ისე ვერ ბრწყინავს, როგორც „სანტოსში".

16. ადრიანო კორეირა (21) — დანიელ ალვესთან ერთად იყო ბრაზილიის იმ ნაკრებში, რომელმაც მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო 2003 წელს. მარცხენა ნახევარმცველია.

17. ხავიერ სავიოლა (24) — ერთ-ერთი უსწრაფესი ფორვარდი პრიმერადივიზონში და გუნდის ლიდერი.

10. ლუის ფაბიანო (25) — ბრაზილიელი ფორვარდი. 2004 წელს „სან პაულოდან" „პორტუში" გადავიდა, მერე კი „სევილიაში" აღმოჩნდა.

ხუანდე რამოსი

სტივ მაკლარენი

პიანისტი დუდუკით

უეფას თასის ხუთი წლის წინანდელი ფინალი ვისაც უნახავს, ალბათ, არასოდეს დაავიწყდება ის მატჩი. მაშინ დორტმუნდში ლივერპულმა" და „ალავესმა" დიდებული სანახაობა აჩუქეს ქომაგებს. თამაში ინგლისელებმა 5:4 მოიგეს დამატებულ დროში ალავესელი დელფის ავტოგოლის წყალობით. ეს მატჩი კი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ინგლისურ-ესპანური გუნდების შეხლა იყო და დღესაც ამ ორი ქვეყნის კლუბები დაეჯახებიან ერთმანეთს ეინდჰოვენში, „ფილიპსის" სტადიონზე, სადაც უეფას თასის მფლობელი უნდა გაირკვეს.

დღევანდელი ფინალი 35-ეა, ინგლისურ-ესპანური დაპირისპირება კი უეფას თასის ისტორიაში — მეორე. „მიდლსბრო" დებიუტანტია ამ ტურნირში, „სევილიას" კი მეტი ევროგამოცდილება აქვს, მაგრამ ფინალში ეს უკვე აღარაფერს ნიშნავს.

„მიდლსბროს" ჰყავს საუცხოო ფორვარდი მასიმო მაკარონე, რომლის გოლებითაც ჯერ „ბაზელთან", მერე კი „სტიაუასთან" თიქმის უიმედო მატჩები მოიგეს. თავად იტალიელი ამბობს, რომ ამ გოლებმა იგი გმირად აქცია. მაკარონე ოთხი წლის წინ კლუბისთვის სარეკორდო თანხად შეიძინეს „ემპოლიდან", მაგრამ თავიდან ვერ გაამართლა, ახლა კი მასში გადახდილი ფული გადაყრილად აღარ ითვლება. „დღევანდელი მატჩი ჩემს კარიერაში უმნიშვნელოვანესია — თქვა მაკარონემ — სეზონის დასაწყისში ვერც წარმოვიდგენდი, რომ უეფას თასის ფინალში თამაში მომიწევდა."

„სევილიას" კი სავიოლა ჰყავს, რომელიც „ბარსელონადან" გაუშვეს და მეორე სუნთქვა გაეხსნა. არგენტინელმა თავის გუნდი და ადგილი იპოვა. სწორედ მისი ნიჭითა და კარგი თამაშითაა, რომ „სევილია" პრიმერადივიზიონშიც ყოჩაღობს და უეფას თასის ფინალშიც გავიდა. არგენტინელმა ხომ უეფას თასზე რვა გოლი მიითვალა. სავიოლამ თავი შეაყვარა ფანებს, რომლებიც მის დარჩენას ითხოვენ.

„მიდლსბროს" მწვრთნელ სტივ მაკლარენისთვის ეს მატჩი გუნდში ბოლო იქნება, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ინგლისის ნაკრებს ჩაიბარებს. ჰოდა, ცხადია, ძალიან უნდა, რომ კლუბს ჯილდო დაუტოვოს და თავაწეული წავიდეს. „ბორო" ყოველთვის ჩემს გულში დარჩება — განაცხადა მაკლარენმა — უკეთესი რა იქნება, თუ უეფას თასს მოვიგებთ და გამარჯვებული წავალ".

რაც შეეხება შემადგენლობებს, „მიდლსბროს" მთავარმეკარე მარკ შვარცერი ტრავმირებული იყო და რამდენიმე მატჩი გამოტოვა, მაგრამ სადღეისოდ ფორმაშია და, ალბათ, ძირითადში იქნება. სევილიელებს ტრავმირებული ჰყავდათ მეგოლე ფრედერიკ კანუტი, რომელიც სრულად ვერ მომჯობინდა და, სავარაუდოდ, სათადარიგოებში დატოვებენ.

მატჩს გერმანელი ჰერბერტ ფანდელი განსჯის, 42 წლის პიანისტი, რომელსაც საკუთარი მუსიკალური სკოლა აქვს. ფანდელისთვის ეს პირველი ევროფინალი იქნება.

სავარაუდო შემადგენლობა

1. მარკ შვარცერი (33 წლის) — ავსტრალიელი მეკარე. 23 აპრილს დაშავდა, მაგრამ გამოკეთდა და დღეს ალბათ ითამაშებს. სეზონის დასაწყისში წასვლა უნდოდა, მაგრამ უეფას თასზე საქმე კარგად რომ წაუვიდა, გადაიფიქრა.

5. კრის რიგოტი (25) — ცენტრალური მცველი.

3. ფრანკ კედრუ (27) — 2001 წლიდანაა „ბოროში" და 140-ზე მეტი მატჩი უთამაშია. გამოცდილი მცველია. სეზონის ბოლოს გუნდიდან მიდის.

6. გარეთ საუთგეიტი (35) — ინგლისის ნაკრების ყოფილი მცველი, „მიდლსბროს" კაპიტანი 2003 წლიდან.

4. უგო ეჰიოგუ (33) — 2000 წელს „ასტონ ვილადან" 8 მილიონ გირვანქად შეიძინეს. მაშინ ეს კლუბისთვის სარეკორდო თანხა იყო.

7. ჯორჯ ბოატენგი (30) — ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველი. სეზონის დასაწყისში ტრავმის გამო ორი თვე გაუცდა, მაგრამ ახლა ჩინებულ ფორმაშია და ამიტომაც უხმო ვან ბასტენმა.

10. ფაბიო როჩემბაკი (27) — „მიდლსბროში" შარშან გადავიდა ლისაბონის „სპორტინგიდან", სადაც „ბარსელონადან" იყო განათხოვრებული.

19. სტიუარტ დაუნინგი (21) — „მიდლსბროს" სკოლაში აღზრდილი მარცხენა ნახევარმცველი, რომელიც ერიკსონმა სამსოფლიოჩემპიონატოდ გამოიძახა.

20. ჟუნიორ დორივა (33) — საყრდენი ნახევარმცველი. ბრაზილიელი 2003 წელს გადავიდა „სელტადან" „ბოროში".

9. ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი (34) — ამ სეზონში 14 გოლი გაიტანა და მეტსაც შეძლებდა ტრავმას რომ არ შეეშალა ხელი.

36. მარკ ვიდუკა (30) — ავსტრალიელ ფორვარდს ხშირად გააქვს ლამაზი გოლები. ტექნიკურია და სისწრაფეც არ დაეწუნება.

გზა ფინალამდე

I ეტაპი		
15.09.2005	სევილია — მაინცი (გერმანია)	0:0
29.09.2005	მაინცი (გერმანია) — სევილია	0:2
ჯგუფური ეტაპი		
03.11.2005	სევილია — ბეშიქთაში (თურქეთი)	3:0
24.11.2005	ზენიტი (რუსეთი) — სევილია	2:1
01.12.2005	სევილია — გიმარაეში (პორტუგალია)	3:1
14.12.2005	ბოლტონი (ინგლისი) — სევილია	1:1

საბოლოო ცხრილი

სევილია	4	2	1	1	8:4	7
ზენიტი	4	2	1	1	5:4	7
ბოლტონი	4	1	3	0	4:3	6
ბეშიქთაში	4	1	2	1	5:6	5
გიმარაეში	4	0	1	3	4:9	1

მეთექვსმეტედფინალი		
15.02.2006	ლოკომოტივი (რუსეთი) — სევილია	0:1
23.02.2006	სევილია — ლოკომოტივი (რუსეთი)	2:0
მერვედფინალი		
09.03.2006	ლილი (საფრანგეთი) — სევილია	1:0
15.03.2006	სევილია — ლილი (საფრანგეთი)	2:0
მეოთხედფინალი		
30.03.2006	სევილია — ზენიტი (რუსეთი)	4:1
06.04.2006	ზენიტი (რუსეთი) —სევილია	1:1
ნახევარფინალი		
20.04.2006	შალკე (გერმანია) — სევილია	0:0
27.04.2006	სევილია — შალკე (გერმანია)	1:0დ.დ.

I ეტაპი		
15.09.2005	მიდლსბრო — ქსანთი (საბერძნეთი)	2:0
29.09.2005	ქსანთი (საბერძნეთი) — მიდლსბრო	0:0
ჯგუფური ეტაპი		
20.10.2005	გრასჰოპერი (შვეიცარია) — მიდლსბრო	0:1
03.11.2005	მიდლსბრო — დნიპრო (უკრაინა)	3:0
24.11.2005	ალკმაარი (ჰოლანდია) — მიდლსბრო	0:0
15.12.2005	მიდლსბრო — ლიტექსი (ბულგარეთი)	2:0

საბოლოო ცხრილი

მიდლსბრო	4	3	1	0	6:0	10
ალკმაარი	4	3	1	0	5:1	10
ლიტექსი	4	2	0	2	4:5	6
დნიპრო	4	1	0	3	4:9	3
გრასჰოპერი	4	0	0	4	3:7	0

მეთექვსმეტედფინალი		
16.02.2006	შტუტგარტი (გერმანია) — მიდლსბრო	1:2
23.02.2006	მიდლსბრო — შტუტგარტი (გერმანია)	0:1
მერვედფინალი		
09.03.2006	მიდლსბრო — რომა (იტალია)	1:0
15.03.2006	რომა (იტალია) — მიდლსბრო	2:1
მეოთხედფინალი		
30.03.2006	ბაზელი (შვეიცარია) — მიდლსბრო	2:0
06.04.2006	მიდლსბრო — ბაზელი (შვეიცარია)	4:1
ნახევარფინალი		
20.04.2006	სტიაუა (რუმინეთი) — მიდლსბრო	1:0
27.04.2006	მიდლსბრო — სტიაუა (რუმინეთი)	4:2

მსოფლიოს თასი

გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

H ჯგუფი

ესპანეთი, უკრაინა, საუდეთი, ტუნისი

არ უყვარს ბლოხინს ბანანისტები

ოლეგ ბლოხინი

უკრაინა ჩვენთვის კარგად ნაცნობი და მეგობარი ქვეყანაა. ამიტომ მისი ნაკრების შესახებ საქართველოში ბევრმა ბევრი იცის, თუმცა მოკლედ მაინც გავიხსენოთ, უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაარსდა. ქვეყანას ნიჭიერი მოთამაშეები არასდროს აკლდა და ნიჭის დეფიციტი არც 90-იან წლებში იყო, მაგრამ დღევანდლის დარი ძლიერი და სტაბილური გუნდი უკრაინას ჯერ არ ჰყოლია.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე უკრაინამ პირველად 1996-97 წლებში ითამაშა და ჯგუფში გერმანიის მერე მეორეზე გავიდა, მაგრამ პლეი ოფში ხორვატიასთან დამარცხდა. კორეა-იაპონიის გზაზე უკრაინელები ისევ გერმანიას გადაეყარნენ, ოღონდ ამჯერად პლეი ოფში და კვლავ დამარცხდნენ. როგორ მოხვდა უკრაინა ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე, ალბათ, კარგად გახსოვთ, რადგან ჩვენს ჯგუფში იყო. ოლეგ ბლოხინის გუნდმა ძალიან რთულ ჯგუფში დამაჯერებლად ითამაშა, მხოლოდ ერთხელ დამარცხდა და პირველ ადგილზეც დამსახურებულად გავიდა.

* * *

მწვრთნელი და ლეგენდა: ოლეგ ბლოხინი 1952 წლის 5 ნოემბერს დაიბადა კიევში. მან ბავშვობაშივე გადაწყვიტა ფეხბურთელობა და კიევის „დინამოს" ახალგაზრდულ გუნდშიც აღმოჩნდა, საიდანაც შემდგომ დუბლებში და ძირითად გუნდში გადავიდა.

ბლოხინი კიევის „დინამოსთან" ერთად 7-ჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ყველაზე მეტჯერ, 15-ჯერ მოხვდა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელებს შორის და აქედან 13-ჯერ პირველ ნომრად. 5-ჯერ გახდა ჩემპიონატის ბომბარდირი, სულ ჩაატარა 432 მატჩი და გაიტანა 211 გოლი, რაც ასევე სარეკორდოა. ორჯერ — 1975 და 1986 წლებში — მოიგო თასების თასი, ხოლო 1975 წელს ევროპის სუპერთასიც. იმავე წელს მიიღო „ოქროს ბურთი".

საბჭოთა კავშირის ნაკრებში ასევე სარეკორდო მაჩვენებელი აქვს — 112 მატჩი და 47 გოლი. 1977, 1979 და 1981 წლებში ნაკრების კაპიტანი გახლდათ. 1972 და 1976 წლებში გახდა ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი.

სათამაშო კარიერა ავსტრიულ „ფორვერსტში" დაამთავრა 1988 წელს და მწვრთნელობას შეუდგა. 1990 წელს ჩაიბარა ბერძნული „ოლიმპიაკოსი". ამას პაოკი და „იონიკოსი" მოჰყვა. ერთი სეზონი ოდესის „ჩერნომორეცში" გაატარა და ისევ საბერძნეთში დაბრუნდა. იქ აეკ-ში და კვლავ „იონიკოსში" იმუშავა, რის მერეც 2003 წელს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა ანდეს. მოგეხსენებათ, ფეხბურთელობისას ბლოხინი ძალინ სწრაფი იყო და კარგი დარტყმით გამოირჩეოდა. ნაკრების სათამაშო სტილიც მისას წაგავს. უკრაინელები გააზრებულად და სწრაფად თამაშობენ.

როგორც ბევრი ნიჭიერი ადამიანი, ბლოხინიც უცნაური ხასიათით გამოირჩევა. მას რასიზმიც კი დასწამეს და არცთუ უსაფუძვლოდ ამ განცხადების გამო: „უკრაინელები, რომლებიც ჩვენს ჩემპიონატში თამაშობენ, ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის მაგალითები უნდა იყვნენ. მათ შევჩენკოსგან და ბლოხინისგან უნდა ისწავლონ და არა ვიღაც ზუმბა-ბუმბებისგან, რომლებიც ხიდან ჩამოსვეს, ორი ბანანი მისცეს და ახლა უკრაინის ჩემპიონატში თამაშობენ".

* * *

კაპიტანი და ახლანდელი ვარსკვლავი: ანდრეი შევჩენკო 1976 წლის 29 სექტემბერს კიევთან ახლოს, დვირკივშჩინაში დაიბადა. თავიდან მოკრივეობა სურდა, მაგრამ არცთუ ძლიერი ფიზიკური აღნაგობის გამო იძულებული გახდა, ამ სპორტისთვის თავი დაენებებინა. 9 წლის იყო, როცა ჩერნობილის ტრაგედია მოხდა და მისმა ოჯახმა, სხვა უამრავის მსგავსად, საცხოვრებელი დატოვა. იმავე წელს კიევის სპორტულ სკოლაში სურდა ჩაბარება, მაგრამ სირბილის ტესტი ვერ ჩაბარა და დაიწუნეს. თუმცა „დინამოს" სკაუტები პატარა ბიჭის ნიჭით მოიხიბლნენ და იგი თავისთან წაიყვანეს.

კიეველთა ძირითად გუნდში შევჩენკო 1994 წლიდან თამაშობდა, სანამ 1999 წელს „მილანი" იყიდიდა. „შევა" 5-ჯერ გახდა უკრაინის ჩემპიონი და 2-ჯერ მოიგო თასი. იტალიურ გრანდში გადასვლის მერე კი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ იქცა. „როსონერისთან" ერთად მოიგო სერია A, ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი, იტალიის თასი და სუპერთასი. 2004 წელს დაიმსახურა „ოქროს ბურთი" და გარდა ამისა, მოპოვებული აქვს სხვა არაერთი პერსონალური ჯილდო. ნაკრებში 1995 წლიდანაა და 63 მატჩში 28 გოლი აქვს გატანილი. იგი უკრაინელთა უდავო ლიდერი და თამაშის განმსაზღვრელია.

2004 წელს დაქორწინდა ამერიკელ მოდელ კრისტენ პაზიკზე. ჰყავს ერთი ვაჟი, ჯორდანი, რომელსაც სახელი ლეგენდარული კალათბურთელის მაიკლ ჯორდანის პატივსაცემად დაარქვეს. ახლო ურთიერთობა აქვს ჯორჯო არმანისთან. კიევში ერთად არმანის მაღაზიაც გახსნეს. „შევა" ხშირად გამოდის პოდიუმზეც.

* * *

შესარჩევი ეტაპის ვარსკვლავი: რუსლან როტანმა შესარჩევ ეტაპზე სამი გოლი გაიტანა და სამივე ძალიან მნიშვნელოვანი. საქართველოს ნაკრებთან მისი გატანილი გოლით უკრაინამ თბილისში ფრე ითამაშა და მუნდიალზე გასვლა გაინაღდა. ბოლო წუთებზე მან ნაკრები ალბანეთთან მარცხისგან იხსნა, ხოლო ყაზახებს დამატებულ წამებზე შეუგდო გამარჯვებისა.

რუსლან როტანი

კრისტენი და ანდრეი

როტანი 1981 წლის 29 ოქტომბერს პოლტავაში დაიბადა. 1999-2005 წლებში „დნიპროში" თამაშობდა, ახლა კი კიევის „დინამოშია" და ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად ითვლება.

* * *

+ უკრაინელებს შეტევაში, ანდრეი შევჩენკოს გარდა, სერგეი რებროვი და ანდრეი ვორონინი ჰყავთ, რაც ბევრისმთქმელია.

* * *

— მიუხედავად იმისა, რომ ნახევარდაცვაში როტანი ჰყავს, ნაკრების ეს რგოლი ყველაზე სუსტად ითვლება, რაც შეიძლება სერიოზულ პრობლემად იქცეს.

* * *

აზრი: „უკრაინელები ძალიან იმედიანად არიან და ამის გარკვეული საფუძველიც აქვთ. თანაც ბლოხინი ქომაგებს ნახევარფინალს შეჰპირდა".

უკრაინის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

14 ივნისი	ესპანეთი — უკრაინა	ლაიპციგი
19 ივნისი	საუდეთი — უკრაინა	ჰამბურგი
23 ივნისი	უკრაინა — ტუნისი	ბერლინი

უკრაინის გზა ფინალურ ეტაპისკენ

04.09.2004	დანია — უკრაინა	1:1
08.09.2004	ყაზახეთი — უკრაინა	1:2
09.10.2004	უკრაინა — საბერძნეთი	1:1
13.10.2004	უკრაინა — საქართველო	2:0
17.11.2004	თურქეთი — უკრაინა	0:3
09.02.2005	ალბანეთი — უკრაინა	0:2
30.03.2005	უკრაინა — დანია	1:0
04.06.2005	უკრაინა — ყაზახეთი	2:0
08.06.2005	საბერძნეთი — უკრაინა	0:1
03.09.2005	საქართველო — უკრაინა	1:1
07.09.2005	უკრაინა — თურქეთი	0:1
08.10.2005	უკრაინა — ალბანეთი	2:2

საბოლოო ცხრილი

უკრაინა	12	7	4	1	18:7	25
თურქეთი	12	6	5	1	23:9	23
დანია	12	6	4	2	24:12	22
საბერძნეთი	12	6	3	3	15:9	21
ალბანეთი	12	4	1	7	11:20	13
საქართველო	12	2	4	6	14:25	10
ყაზახეთი	12	0	1	11	6:29	1

ანჩელოტი დანიშვნამდე მოხსნეს

სამეფო გუნდის და კარლო ანჩელოტის სამთვიანი სატრანსფერო არშიყობა დამთავრდა. „მარკას“ გუშინდელ ცნობებს თუ ვენდობით, „რეალს“ და „მილანის“ ამჟამინდელ მწვრთნელს თებერვალში მიღწეული წინასწარი ხელშეკრულება გაუბათილებიათ და ანჩელოტის მომავალ სეზონში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ვეღარ იხილავენ. „რეალის“ მომავალი მწვრთნელის ვინაობას კი სამეფო თეთრების ახალი პრეზიდენტი გადაწყვეტს — „ბერნაბეუზე“ საპრეზიდენტო არჩევნები 2 ივლისს გაიმართება. დროებით მმართველს, 83 წლის მონტეხანოს კი, ალბათ, კლუბის დამრიგებლის მოსანახად ძალა და შემართება არ ეყო... და, რა თქმა უნდა, წამსვე ამოტივტივდნენ თითქმის მივიწყებული კანდიდატები — ვისენტე დელ ბოსკე, ბერნდ შუსტერი, სვენ გორან ერიკსონი, ლუიშ ფელიპე სკოლარი და სხვანიც, რომლებიც ესპანურ მედიას მიავიწყდა და ხელახლა დაიწყებენ „მკითხაობას“.

ლადო ხომერიკი

პორტუგალიური „ბოავიშტას“ მწვრთნელი კარლოს ბრიტო მოხსნეს. მას გუნდი უეფას თასზე უნდა გაეყვანა და ვერ მოახერხა — „ბოავიშტა“ მეექვსე ადგილზე გავიდა. ბრიტომ კლუბში 2005 წლის მაისში მივიდა და ორწლიანი კონტრაქტი ჰქონდა, მაგრამ კონტრაქტის დასრულებამდე გაუშვეს.

ჰოლანდიური „ფეიენოორდის“ ამერიკელი მცველი კორი გიბზი „ჩარლტონში“ გადავიდა. გიბზს როტერდამულ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და „ჩარლტონს“ უფასოდ ერგო.

ინგლისურმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მეკარე ტიმ ჰოვარდი ერთი წლით „ევერტონს“ ათხოვა. ჰოვარდმა მთელი სეზონი სათადარიგოებში გაატარა, მთავარმეკარე კი ედვინ ვან დერ სარი იყო.

გერმანულმა „ჰანოვერმა“ „ბრაუნშვაიგიდან“ ტიმო ნაგი შეიძინა. 23 წლის ნახევარმცველმა კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა შემგომში შესაძლო გახანგრძლივების პირობით.

ინგლისურმა „პორტსმუთმა“ მწვრთნელ ჰარი რედნაპთან კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა. რედნაპმა პრემიერლიგაში გუნდის დატოვება მოახერხა და ამაგიც ასე დაუფასეს.

ჰოლანდიური „ბრედას“ ავსტრალიელი ნახევარმცველი ტონი ვიდმარი მსოფლიოს ჩემპიონატს გამოტოვებს. 35 წლის ფეხბურთელი ტრავმირებულია და საგერმანიოდ მორჩენას ვერ მოასწრებს.

ინგლისური „ბოლტონის“ იაპონელი ლეგიონერი ჰიდეტოში ნაკატა გუნდიდან წავიდა. ნაკატა ბოლტონელებმა შარშან ერთი წლით ითხოვეს. „ამ გუნდს ჩემნაირი გათამაშებელი არ სჭირდება“ — თქვა იაპონელმა.

ფრანგული და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ჟან-პიერ პაპენი „სტრასბურის“ მწვრთნელი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ კლუბი მომავალ სეზონში მეორე დივიზიონში ითამაშებს. „პაპენი კონტრაქტზე ხელს უახლოეს დღეებში მოაწერს. ყველაფერი შეთანხმებულია. უბრალოდ, ჯერ ამჟამინდელ მწვრთნელ ჟაკ დიუგეპერთან მოქმედი კონტრაქტი უნდა გავაბათილოთ“ — თქვა „სტრასბურის“ პრეზიდენტმა ფილიპ ჟინესტემ.

არგენტინელმა ნახევარმცველმა ანდრეს დალესანდრომ აღნიშნა, რომ „პორტსმუთში“ დარჩენა უნდა. 25 წლის პლეიმეიკერი იანვარში გერმანულმა „ვოლფსბურგმა“ ნახევარი წლით გაანათხოვრა, მაგრამ მას ბუნდესლიგაში დაბრუნება აღარ სურს. „აქ ბედნიერი ვარ. და მინდა, დავრჩე, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე კლუბია ჩემით დაინტერესებული. იმედია, „პორტსმუთი“ და „ვოლფსბურგი“ შეთანხმდებიან“ — თქვა დალესანდრომ.

მსოფლიოს ჩემპიონატის ხუთი ხუთკუნჭულა

თეო უოლკოტი



სამუელ ეტოო

თუ ინგლისელი თეო უოლკოტი გერმანია 2006-ის პირველივე შეხვედრაში ანუ 10 ივნისს ტრინიდადისა და ტობაგოს წინააღმდეგ ითამაშებს, ის გახდება მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში სიყმაწვილით მეორე, რამეთუ იმ საღამოს 17 წლისა და 86 დღისა იქნება, ეს კი მეორე შედეგი გამოდის.

გთავაზობთ ისტორიაში ხუთი უმრწმესი ფეხბურთელის ჩამონათვალს:

ნორმან უაითსაიდი

(ჩრდილოეთ ირლანდია)

1965 წლის 7 მაისს დაბადებული უაითსაიდი იყო ღონიერი ცენტრფორვარდი, რომელმაც 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იუგოსლავიასთან 0:0 დამთავრებულ შეხვედრაში ითამაშა. მაშის ის 17 წლისა და 41 დღისა გახლდათ და ეს იყო მისი დებიუტი ეროვნულ ნაკრებში. იმხანად ნორმან უაითსაიდი „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობდა.

სამუელ ეტოო

(კამერუნი)

1981 წლის 10 მარტს დაბადებული ეტოო უმრწმესთა ჩამონათვალში იმიტომ მოხვდა, რომ 1998 წელს იტალიის ნაკრების წინააღმდეგ 0:3 წაგებულ შეხვედრაში შევიდა მოედანზე. იმ შეხვედრისას დღეს ბარსელონელი ვარსკვლავი 17 წლისა და 99 დღისა იყო.

ფემი ოპაბუნმი

(ნიგერია)

1985 წლის 3 მარტს დაბადებული ეს ყმაწვილი 2002 წლის მუნდიალზე ინგლისის ნაკრებთან შეხვედრაში შეიყვანეს მოედანზეოპაბუნმი მაშინ 17 წლისა და 101 დღისა გახლდათ. შეხვედრა 0:0 დასრულდა.

სალომონ ოლემბე

(კამერუნი)

1980 წლის 8 დეკემბერს დაბადებულმა ოლემბემ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ავსტრიასთან შეხვედრაში 17 წლისამ და 185 დღისამ ითამაშა. შეხვედრა 1:1 დასრულდა. ეს იყო იმ ტურნირზე ერთადერთი მატჩი, რომელშიც მწვრთნელმა კლოდ ლე რუამ ის მოედანზე შეუშვა.

პელე

(ბრაზილია)

1940 წლის 23 ოქტომბერს დაბადებულმა პელემ 1958 წელს სსრკ-ს ნაკრებთან რომ ითამაშა, 17 წლისა და 235 დღისა გახლდათ.

პაპუნა კედია

მორატი ამღვრეულში ხელებს აფათურებს

მილანის „ინტერის“ მწვრთნელი ეგებ ფაბიო კაპელო გახდეს. ამბობენ, დონ ფაბიო უკვე შეხვდა „ნეროაძურის“ მფლობელ მასიმო მორატის და უახლოეს დღეებში კიდევ შეხვდებაო. დიდი შანსია, კაპელომ სეზონის ბოლოს „დელე ალპი“ დატოვოს.

მოჯი-ბეტეგა-ჯირაუდოს გარშემო ამტყდარი მორიგი სკანდალი „სარბიელის“ მკითხველს კარგად მოეხსენება ეს სამეული მალე „იუვენტუსიდან“ წავა. კაპელოს კი ტრიოსთან ჩინებული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა და ადრე ისიც უთქვამს, მათ გარეშე „იუვეში“ ყოფნა ვერ წარმომიდგენიაო. საინტერესოა, მისი ადრე გაკეთებული კიდევ ერთი კომენტარი — „ინტერში“ ორჯერ გადავდიოდი, მაგრამ ბოლო მომენტში ყველაფერი იშლებოდაო. ჰოდა, რაც მაშინ ჩაიშალა, ეგებ ახლა გამოვიდეს. მით უმეტეს, რომ მორატი ტრანსფერებში ისევ ბევრი ფულის დახარჯვას აპირებს, რათა 1989 წლის მერე მონატრებული სკუდეტო როგორმე ხელში მოიგდოს.

„ნეროაძურის“ შეფობა დღემდე ირწმუნება, რობერტო მანჩინი პოსტზე რჩებაო. აპენინური მედია კი ამტკიცებს, თუ კაპელო „იუვენტუსს“ დატოვებს, მისი შემცვლელი შესაძლოა „ლივორნოს“ ყოფილი თავკაცი რობერტო დონადონი გახდესო.

კოკი კანდელაკი

ჟოზე მაურინიუ 2005-06-ის პრემიერლიგის საუკეთესო მწვრთნელად დასახელეს, ზედიზედ მეორედ.

ჩემთვის დიდი პატივია — განაცხადა ჟოზემ **CHELSEA TV**-სთან ინტერვიუში — ეს აღიარება „ჩელსის“ ზედიზედ მეორე ჩემპიონობას უკავშირდება. თუმცა ჯილდოს მაინც სიურპრიზად ვთვლი, რადგან მთელი სეზონის განმავლობაში თვის საუკეთესო მწვრთნელადაც კი არ დავუსახელებივარ.

ჩემპიონატი მიჯრით 9 მოგებით დავიწყეთ, მაგრამ საუკეთესოდ არც აგვისტოში მაღიარეს და არც სექტემბერში. ზამთარშიც ბევრი გამარჯვება გვქონდა, მაგრამ ჯილდო არც დეკემბერ-იანვარში მიმიღია. ასე რომ, წლის საუკეთესო მწვრთნელად დასახელებამ გამაკვირვა.

მაურინიუს სექტემბერი მაისშია

ჯილდო ინდივიდუალურია, თუმც, იგი მთელმა კლუბმა დაიმსახურა. ასეთი დაფასება მწვრთნელსაც და გუნდსაც გამოარჩევს. მე ეს ჯილდო „ჩელსისთან“ ერთად მივიღე.

ვერც იმ მწვრთნელებს დავივიწყებ, რომელთაც ამ პრიზის მიღება შეეძლოთ. მარკ ჰიუზმა „ბლეკბერნი“ უეფას თასზე გაიყვანა. ჰერდიუმ და ჯუელმა „ვესტ ჰემში“ და „უიგანში“ მშვენივრად იმუშავეს.

რა თქმა უნდა, ჩემპიონატის მოგება „მანჩესტერს“, „ლივერპულს“ და „არსენალსაც“ უნდოდათ, მაგრამ ხელი მოეცარათ. „ტოტენჰემი“ ვერ მოხვდა ჩემპიონთა ლიგაში. პრემიერლიგაში ადგილი კი, დიდი სურვილის მიუხედავად, „ბირმინგემმა“, „ვესტ ბრომვიჩმა“ და „სანდერლენდმა“ ვერ შეინარჩუნეს.

ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელობა სიამაყით მავსებს, თუმც, ეს „ჩელსის“ გაწეული შრომის დაფასებაცაა.

ლადო ხომერიკი

მეთოფე სესკს ოჯახში ბარსა უზის

ექსბარსელონელი სესკ ფაბრეგასი 17 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალში კატალონიური გუნდის წინააღმდეგ „არსენალთან“ ერთად იბრძოლებს. სესკი „ჰაიბერიზე“ რომ გადავიდა, 18 წლისაც არ იყო. მაშინ იგი, ძირითადში თამაშზე მეოცნებე, თავისი კერპის, პატრიკ ვიეირას ავტოგრაფებზე ნადირობდა. დღეს ფაბრეგასი „მეთოფეთა“ ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო იარაღია. კატოლონიელ ფეხბურთელს თანამემამულე „სპორტის“ ჟურნალისტი გაესაუბრა

— კვირას „არსენალმა“ ბოლოჯერ ითამაშა „ჰაიბერიზე“, მომავალი სეზონიდან უკვე ახალ არენაზე გამართავს მატჩებს. ისტორიულ სტადიონზე ბოლო შეხვედრამ რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე?

— ვამაყობ, რომ „ჰაიბერისთან“ გამოსათხოვარ თამაშში მივიღე მონაწილეობა. ამ არენამ პირველი ნახვისთანავე მომაჯადოვა. გაისად სადაც არ უნდა ვითამაშოთ, „ჰაიბერი“ მაინც ძალიან მომენატრება.

— მაშინ ბოლო მატჩი დავივიწყოთ და მომავალ შერკინებაზე ვიფიქროთ...

— რომელ შერკინებას გულისხმობთ?

— მშვენივრად იცით. პარიზი, 17 მაისი, ჩემპიონთა ლიგის ფინალი „ბარსელონას“ წინააღმდეგ...

— ამის გაფიქრებაც კი ძალიან მახარებს. აბა, ასეთ რაღაცას ორი წლის წინ ვინ მეტყოდა. დაუჯერებელია, რომ ლიგის ფინალში ვითამაშებ და კიდევ უფრო დაუჯერებელი რამ — მეტოქე „ბარსელონა“.

— ფინალს მშვიდად ელით თუ გაორებული გრძნობით?

— საკმაოდ მშვიდად. მსგავს შემთხვევებში აღელვება არ მჩვევია. არავის შეეპაროს ეჭვი იმაში, რომ „არსენალის“ გამარჯვება მსურს. აი, „ბარსა“ რომ სხვა გუნდს ხვდებოდეს, აუცილებლად კატალონიელებს ვუქომაგებდი.

— ისევე, როგორც „მილანთან“ ნახევარფინალში იყო...

— რა თქმა უნდა. მაშინ მინდოდა, მოგებული „ბარსა“ ყოფილიყო, თუმცა ახლა სხვა საქმეა... უკვე გითხარით, რომ ფინალის წინ თავს საკმაოდ მშვიდად ვგრძნობ.

— ლიგის მეოთხედფინალში მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ თქვენი ოჯახი და ბარსელონელი მეგობრები „არსენალს“ ქომაგობდნენ. ახლაც, „ბარსასთანაც“, ივივე მოხდება?

— არა. ჩემი ოჯახის ზოგიერთმა წევრმა პირდაპირ მითხრა, წლეულს ლიგაზე „ბარსელონას“ მოგება გვინდა, შენი კი გაისადო. თუმცა უმრავლესობა მაინც ჩემთანაა. მეგობრებსაც არა მგონია, „არსენალის“ წაგება გაუხარდეთ. ისინი „ბარსას“ ფანები არიან, ოღონდ ჩემი წყენაც არ სურთ.

— „არსენალის“ შესახებ რას გვეტყვით?

— ნიჭიერი ახალგაზრდების გუნდია. არსენ ვენგერმა ისეთი შემადგენლობა შეარჩია, რომლის საშუალო ასაკიც ზოგჯერ მხოლოდ 22 წელია. თუმცა ამ ერთი შეხედვით გამოუცდელმა ბიჭებმა „რეალი“ და „იუვენტუსი“ დავამარცხეთ.

— ეს ტრიუმფი უფრო ტიერი ანრის დამსახურებაა თუ არსენ ვენგერის?

— ვფიქრობ, ასე დაკონკრეტება არ შიძლება. ფინალში ჩვენი ყოფნა მთელი გუდის დამსახურებაა.

— გუნდს, რომელშიც ტიერი ანრი თამაშობს, „წესით“, სულ მოგება ეკუთვნის...

— ანრი გენიალური ფეხბურთელია. ვერ წარმომიდგენია, რომელიმე მატჩში ტიერი გვერდით რომ არ მყავდეს. ნახევარდაცვას მართავს, გოლები გააქვს, პასებით გვამარაგებს და როცა საქმეს სჭირდება, დაცვაშიც ჩადის. მოკლედ, საოცრად თამაშობს.

— „ბარსელონას“ ტექნიკური დირექტორი რომ იყოთ, ანრის შეიძენდით?

— ანრის აუცილებლად შევიძენდი, თუმცა ახლა იგი „არსენალში“ თამაშობს და თუ გაგვიმართლებს, მომავალშიც ჩვენთან დარჩება.

— თქვენ გსურთ „არსენალში“ დარჩენა?

— მე ამ კლუბთან კონტრაქტი მაკავშირებს. დანარჩენს ვერაფერს გეტყვით.

— ვენგერზე რას ფიქრობთ?

— დიდი პიროვნება და დიდი მწვრთნელია. ამ კაცმა იცის, თავისი იდეები როგორ განახორციელოს.

— ბარსელონაში სხვა მეთოფეებზე“ მეტად თქვენზე და ანრიზე ღელავენ. კატალონიელთა ანერვიულება დანარჩენებსაც შეუძლიათ?

— გლები, სენდეროსი, ვან პერსი, პირესი, ლიუნგბერგი, რეიესი — ვიცი, რომ ეს ბიჭები რაიკარდის კლუბს ააფორიაქებენ...

— საკმაოდ კარგი ფეხბურთელები ჩამოთვალეთ, თუმცა პირესის და ლიუნგბერგის გარდა ყველა ძალიან ახალგაზრდაა...

— უკვე გითხარით, რომ არის თამაშები, როცა „არსენალის“ საშუალო ასაკი 22 წელია, მაგრამ ეს მატჩების მოგებაში ხელს არ გვიშლის. ამ სეზონში ბევრმა ტრავმამ გაგვაწვალა და ვენგერსაც იმპროვიზირება მოუხდა ფეხბურთელებთან დაკავშირებით. მაგალითად, ფლამინი ადრე ნახევარმცველი იყო და წლეულს მცველად ითამაშა. მან ამ საქმეს შესანიშნავად გაართვა თავი.

— „ბარსაზე“ ვისაუბროთ. ფინალში კატალონიელებს ფავორიტებად თვლით?

— საფინალო ბრძოლებში ფავორიტები არ არსებობენ, მხოლოდ მედიამ იცის რომელიმე გუნდს ფავორიტად რომ მონათლავს ხოლმე. „არსენალი“ თავის თავს წინასწარ მოგებულად არ თვლის, თუმცა, ვფიქრობ, „ბარსელონაც“ არ მიიჩნევს თავს გამარჯვებულად. ფინალია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

— რა მოგწონთ „ბარსელონაში“?

— ყველაფერი. დიდებული გუნდია და წლეულს ესპანეთის ჩემპიონატი ღირსეულად მოიგო. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები ჰყავს და ბრწყინვალე ფეხბურთსაც თამაშობს.

— სესკ ფაბრეგასი თუ ითამაშებს ოდესმე ამ გუნდში?

— სესკ ფაბრეგასი 17 მაისს „ბარსელონას“ წინააღმდეგ ლიგის ფინალში ითამაშებს...

ფეხბურთის რეპანთან

იტალიური „ლაციოს“ ნახევარმცველი ფაბიო ლივერანი „ფიორენტინაში“ გადადის. ფეხბურთელმა ახალ კლუბში სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და სეზონის დასრულების შემდეგ დატოვებს „ლაციოს“, ოღონდ ჯერ უცნობია თუ რამდენწლიან კონტრაქტს გააფორმებს „იებთან“ ლივერნი.

ფრანგული „მარსელი“ ფრანკ რიბერის გაშვებას არ აპირებს. ნიჭიერ ნახევარმცველის ყიდვა „ლიონს“ უნდოდა, მაგრამ მარსელელთა სპორტულმა დირექტორმა ჟოზე ანიგომ განაცხადა, რომ რიბერი არ იყიდება.

ინგლისურმა „ევერტონმა“ ორი ფეხბურთელთან — დანკან ფერგიუსონთან და ლი ტიესთან განშორება გადაწყვიტა. სამაგიეროდ, ლივერპულელები „რომასგან“ ბოლომდე გამოისყიდიან მატეო ფერარის კონტრაქტს. „ორივე მათგანს კლუბში დარჩენა უნდოდა, მაგრამ კონტრაქტს აღარ გავუგრძელებთ“ — თქვა „ევერტონის“ მწვრთნელმა დევიდ მოიესმა.

გერმანული ბუნდესლიგიდან გავარდნილი „დუისბურგის“ ახალ მწვრთნელად რუდი ბომერი დანიშნა. 48 წლის ბომერმა კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მისი მთავარი ამოცანა დუისბურგელების ბუნდესლიგაში დაბრუნება იქნება.

გერმანულმა „ბაიერნმა“ ერთი წლით გაუხანგრძლივა კონტრაქტი მეპმეთ შოლს. 35 წლის ვეტერანისთვის მომავალი სეზონი „ბაიერნში“ მეთხუთმეტე იქნება. შოლი კარიერის დასრულების შემდეგ მიუნხენურ კლუბში სამუშაოდ დარჩება.

Photo News

„ბარსელონას“ შვედი ფორვარდი ჰენრიკ ლარსონი ბრიტანეთის იმპერიის მედლით დააჯილდოვეს. რისთვის? ესპანურ გუნდში კი თამაშობს, მაგრამ თავის დროზე გლაზგოს „სელტიკში“ ბრწყინავდა და ერთიმეორეზე უკეთესი გოლები გაჰქონდა, ჰოდა, იმპერიის ჯილდოც ბრიტანულ ფეხბურთში შეტანილი წვლილისთვის დაიმსახურა. მედალი მას ესპანეთში ბრიტანეთის ელჩმა სტივენ რაიტმა გადასცა, ეს ამბავი კი ბარსელონაში, „კამპ ნოუზე“ მოხდა. ლარსონს გვვერდს უმშვენებენ მეუღლე მაგდალენა და შვილები.

გუშინ შვედეთის ნაკრების მწვრთნელმა ლარს ლაგერბეკმა საგერმანიო 23 კაცი დაასახელა:

მეკარეები: ანდრეას ისაკსონი (რენი, საფრანგეთი), ჯონ ალვბაგე (ვიბორგი, დანია), რამი შაბანი (ფრედრიკსტადი, ნორვეგია);

მცველები: ერიკ ედმანი (რენი, საფრანგეთი), პეტერ ჰანსონი (ჰერენვენი, ჰოლანდია), ტედი ლუკიჩი (ჰეკენი), ოლოფ მელბერგი (ასტონ ვილა, ინგლისი), კარლ სვენსონი (გიოტებორგი), მიკაელ ნილსონი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ფრედრიკ სტენმანი (ლევერკუზენი, გერმანია);

ნახევარმცველები: დანიელ ანდერსონი (მალმიო), ნიკლას ალექსანდერსონი (გიოტერბორგი), კიმ კალსტრიომი (რენი, საფრანგეთი), ტობიას ლინდეროტი (კოპენჰაგენი, დანია), კრისტიან ვილჰელმსონი (ანდერლეხტი, ბელგია), ანდერს სვენსონი (ელფსბორგი), ფრედერიკ ლიუნგბერგი (არსენალი, ინგლისი);

თავდამსხმელები: მარკუს ოლბოკი (კოპენჰაგენი, დანია), იოჰან ელმანდერი (ბრონდბიუ, დანია) ზლატან იბრაჰიმოვიჩი (იუვენტუსი, იტალია), მათიას იონსონი (იურგორდენი), ჰენრიკ ლარსონი (ბარსელონა, ესპანეთი), მარკუს როზენბერგი (აიაქსი, ჰოლანდია)

შვედეთი

ალსვენსკა. VII ტური

აიკ 2:2 ელფსბურგი

მალმიო 3:1 ჰელსინგბორგი

ელფსბორგი	7	4	3	0	13:8	15
ჰაპარბი	7	4	2	1	11:8	14
აიკ	7	3	3	1	14:9	12
მალმიო	7	3	3	1	8:5	12
იურგორდენი	7	3	3	1	5:4	12
გიოტებორგი	7	2	3	2	9:7	9
გაის	7	2	3	2	6:5	9
გეფლე	7	2	3	2	7:10	9
კალმარი	7	2	2	3	9:7	8
ჰელსინგბორგი	7	2	2	3	11:11	8
ჰალმსტადი	7	1	4	2	1:2	7
ჰეკენი	7	1	3	3	7:9	6
იოსტერსი	7	1	2	4	4:13	5
იორგრიტე	7	0	2	5	3:10	2

ნორვეგია

ტიპელიგა. VI ტური

ვიკინგი 3:1 მიოლდე

ლილესტრიომი	6	4	2	0	12:7	14
ბრანი	6	3	3	0	10:5	12
ოდ გრენლანდი	6	2	4	0	7:2	10
სტაბეკი	6	2	4	0	6:4	10
რუსენბორგი	6	2	3	1	10:6	9
ლინი	6	2	2	2	6:7	8
სანდეფიორდი	6	2	2	2	7:9	8
ჰამ კამი	6	2	1	3	7:8	7
მიოლდე	6	2	1	3	5:7	7
ფრედრიკსტადი	6	1	3	2	5:7	6
ვიკინგი	6	1	2	3	6:8	5
ვოლერენგა	6	1	2	3	4:7	5
სტარტი	6	1	2	3	3:7	5
ტრომსიო	6	1	1	4	4:8	4

სარგებელი ᲓᲐ ᲙᲠᲝᲙᲝ

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ინგლისი. I ლიგა								
11 მაისი								
22:45	444	ბარნსლი-პალერმოსელი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
22:45	445	სუონსი-ბრენტფორდი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
ინგლისი. კონფერენსი პლეი ოფი								
10 მაისი								
22:45	2	გრეისი-ალეიფუქსი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
11 მაისი								
22:45	1	ჰერეფორდი-შორეიკომბი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
შოტლანდია. I დივიზიონი პლეი ოფი								
10 მაისი								
22:30	373	პარტიკი-პიტერჰედი	2.20	3.30	2.75	1.32	1.22	1.50
შოტლანდია. II დივიზიონი პლეი ოფი								
10 მაისი								
22:30	374	ალია-ბერიკი	2.05	3.30	3.00	1.26	1.21	1.57
გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)								
10 მაისი								
20:00	33	ბაიერაკი-ტრიერი	2.15	3.20	2.80	1.28	1.21	1.49
20:00	34	ელვერსბერგი-აალენი	2.30	3.20	2.65	1.33	1.23	1.44
20:00	36	კაკერსი-ბაიერნი(შ)	2.20	3.20	2.70	1.30	1.21	1.46
20:30	37	კობლენცი-ვეენი	1.70	3.50	3.80	1.14	1.17	1.82
21:30	38	დარმშტადი-შტუტგარტი(შ)	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
შვეიცარია. სუპერლიგა								
10 მაისი								
21:30	60	იანგ ბოისი-ბასელი	3.40	2.50	2.35	1.44	1.38	1.21
შვეიცარია. ჩელენჯლიგა								
10 მაისი								
21:30	67	შო დე ფონი-ერინი	1.60	3.20	5.30	1.06	1.22	1.99
პოლონეთი								
10 მაისი								
20:00	170	აშიკა-ლეჩნა	1.55	3.40	5.30	1.06	1.19	2.07
20:00	171	გურნიკი-ლეგია	5.80	3.50	1.50	2.18	1.19	1.04
20:00	172	პლოცკი-კრაკოვია	1.85	3.00	3.90	1.14	1.25	1.69
20:00	173	პოლონია-პოგონი	1.90	3.00	3.70	1.16	1.25	1.65
20:00	174	ვისლა-არკა	1.20	4.80	12.00	1.00	1.09	3.42
20:00	175	ზაგლებე-გროცლინი	1.65	3.30	4.50	1.10	1.20	1.90
20:00	176	ლენი-ოდრა	1.70	3.20	4.70	1.11	1.24	1.90
20:00	177	კორონა-ბელჩატოვი	1.60	3.40	5.10	1.08	1.21	2.03
ჩეხეთი								
10 მაისი								
19:00	186	იაბლონეკი-ბლშანი	1.65	3.70	4.20	1.14	1.18	1.96
19:00	187	ბოლეხლავი-ისლავა	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
19:00	188	მოსტი-ბრნო	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
19:00	189	პლზენი-სლოვაკეკ	1.85	3.30	3.50	1.18	1.21	1.69
19:00	190	პრეფბრამი-სპარტა	4.30	3.30	1.70	1.86	1.21	1.12
19:00	191	სიგმა-ტეპლიცე	3.00	3.00	2.20	1.50	1.26	1.26
19:00	192	სლავია-ბანიკი	1.45	3.80	5.50	1.04	1.14	2.24
19:00	193	სლონი-ლიბერეცი	2.65	2.90	2.55	1.38	1.29	1.35
დანია. სუპერლიგა								
14 მაისი								
17:00	219	ოლბორგი-ესბიერგი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
17:00	220	ორჰუსი-ოდენსე	4.50	3.60	1.65	2.00	1.20	1.13
17:00	222	ბრიონდბიუ-სიონდერიანსკე	1.20	5.30	10.00	1.00	1.07	3.46
17:00	224	კოპენჰაგენი-სილკებორგი	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
17:00	226	ნორდსიელანდი-ჰორსენსი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
17:00	227	ვიბორგი-მიდტიულანდი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74

			1	X	2	1-X	1-2	X-2
დანია. I დივიზიონი								
10 მაისი								
20:30	228	ლიუნგბიუ-ჰერფოლგე	1.70	3.80	3.80	1.17	1.17	1.89
21:00	229	იელდბეკი-კიოგე	2.90	3.60	2.00	1.60	1.18	1.28
21:00	230	ნიკიობინგი-ფრედერისია	1.95	3.70	3.10	1.27	1.19	1.68
ნორვეგია. ტიპელიგა								
12 მაისი								
20:00	240	ვალერენგა-ლილესტრომი	2.60	3.10	2.60	1.41	1.29	1.41
13 მაისი								
20:00	241	ჰამარი-სტარტი	2.35	3.30	2.65	1.37	1.24	1.46
20:00	242	მოლდე-ფრედრიკსტადი	2.10	3.30	3.20	1.28	1.26	1.62
20:00	243	ოდ გრენლანდი-ლინი	2.30	3.30	2.85	1.35	1.27	1.52
18:00	244	სანდეფიორდი-ბრანი	2.70	3.30	2.40	1.48	1.27	1.38
20:00	245	სტაბეკი-ვიკინგი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
22:00	246	ტრომსი-როსენბორგი	3.30	3.30	2.00	1.64	1.24	1.24
შვედეთი. ალსვენსკა								
10 მაისი								
21:00	257	გოტებორგი-იორგრიტე	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
21:00	258	ჰამარბი-გაის	1.50	3.80	5.30	1.07	1.16	2.21
21:00	259	ოსტერსი-კალმარი	2.90	3.10	2.20	1.49	1.25	1.28
11 მაისი								
21:00	260	ჰელსინგბორგი-ალმსტადი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
21:00	261	ჰაკანი-აიკ	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
21:00	262	იურგორდენი-მალმიო	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
21:00	263	ელფსბორგი-ბიფლე	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
შვედეთი. სუპერეტა								
10 მაისი								
20:30	273	ოერებრო-ეუფა	1.25	5.20	9.50	1.00	1.10	3.36
ფინეთი								
10 მაისი								
19:30	281	ჰონკა-იარიო	1.60	3.40	5.50	1.08	1.23	2.10
11 მაისი								
19:30	282	ჰეკ-კეოპია	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
19:30	283	ლაჰტი-მიკეა	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
19:30	284	ტამპერე-კტკ	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
20:00	285	ტურკუ-ინტერი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
იაპონია								
12 მაისი								
14:00	293	გამბა-ოვატა	1.65	3.30	4.60	1.10	1.21	1.92
აშშ								
10 მაისი								
23:45	294	დალასი-ლოს ანჯელესი	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
მექსიკა								
10 მაისი								
23:45	375	ტოლუკა-სან ლუისი	1.95	3.20	3.30	1.21	1.22	1.62
11 მაისი								
23:45	376	ნიკასი-პაჩუკა	2.50	3.10	2.50	1.38	1.25	1.38
ურუგვაი								
13 მაისი								
22:30	451	სერიო-ლი

საქართველოს ჩემპიონატი
პლეი ოფი. ფინალი



კოტე ტულუში რუსთაველთა სამწვამიანის ხშირი სტუმარი იყო

9 მაისი. ვერის ბაღი

ავიამშენი 1:0 აზოტი

ავიამშენი 81:79 აზოტი

20:19 21:18 25:14 15:28

ავიამშენი: ტულუში (13), ბ. ბერიშვილი (13), მარკოიშვილი (14), მინაშვილი (21), რუდუმტა (8); დ. ბერიშვილი (6), ნიკოლაძე (3), ხოშტარია (3)

აზოტი: ელენტი (2), გოგობერიშვილი (20), ჭოჭუა (3), ბაბიაშვილი (28), იმნაძე (6); ტუჯანი (6), ჩაჩუა (5), არწივიძე (2), ბოისა (3), ცეკვავა (3)ლიპარტელიანი (1),

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

რუსთავმა ავიამშენთან დანგრეული ააშენა, მაგრამ ვერ დაამშვენა

ირაკლი პერტაია

...სირენამდე 5 წამით ადრე 2 ქულით ჩამორჩენილ რუსთაველებს მოედნის ცენტრის გვერდითი ხაზიდან შემოაქვთ ბურთი. დავით არწივიძემ „ავიამშენის“ ფარისკენ დაძრული ჟოლევეტ ტუჯანი შენიშნა, ბურთიც გადააწოდა, მაგრამ ფართან პირისპირ დარჩენილი კამერუნელი გამრუდებულ პასს ვერ დასწვდა და იმავე ადგილიდან ბურთი ავიატორებმა შემოიტანეს.

ეს უკვე თბილისელთა გამარჯვებას ნიშნავდა, ლევან მოსეშვილის გუნდმა ფინალური სერიის საწყისი მატჩი 2 ქულით მოიგო, თუმც ბოლო წამებზე საქმე სანერვიულოდ რომ გაიხადა, თავის თავს უნდა დაბრალოს...

„ავიამშენმა“ ორჯერ მოიგო ეს თამაში — ერთხელ ჩვეულებრივ, ბოლო წამებზე, როგორც დასაწყისში აღვწერეთ და ერთხელაც ბოლოსწინა წუთზე, როცა ავიატორთა ლიდერობა 10 ქულა იყო. ძნელად წარმოსადგენია, წუთნახევარში ორნიშნა ჩამორჩენის გაბათილება, მით უფრო, საქართველოს დაბალი კლასის ჩემპიონატში, მაგრამ რუსთაველებმა ეს მოახერხეს, უფრო ზუსტად, ტუჯანის რომ ბურთი მიეღო, თამაში ოვერტაიმში გადავიდოდა.

საინტერესოა, როგორ შეძლო „აზოტმა“ ეს? „ავიამშენის“ მოთამაშეებმა ჩათვალეს, რომ გაიმარჯვეს და მანამდე საიმედოდ ამორაზულ რუსთაველთა ლიდერებზე მეთვალყურეობა მოადუნეს. ჰოდა, რამაზ გოგობერიშვილმა ჯერ ორქულიანი გასტყორცნა, მერე სამიანი და სირენამდე 30 წამით ადრე სხვაობა 5 ქულამდე შეამცირა.

რუსთაველთა ტაქტიკურმა ჯარიმამ გაჭრა, ბუბა ბერიშვილმა „ავიამშენს“ მხოლოდ ერთი ქულა შესძინა და როცა ლევან ცეკვავამ მორიგი სამქულიანი მიითვალა, ქვემოქართლელებს 16 წამში 3 ქულის გაბათილებაღა მართებდათ — 76:79.

ისევ რუსთაველთა ტაქტიკური ჯარიმა და ისევ ბუბა ბერიშვილის კინკილა ქულა. სხვაობა 4 ქულაა, დასრულებამდე 12 წამი რჩება, თუმც ზვიად ბაბიაშვილი ლამის ცენტრიდან აჭედებს „ავიამშენის“ კალათში ბურთს და „აზოტი“ ქულითღა ჩამორჩება.

საქმე თითქმის გაკეთებულია, რუსთაველები სენსაციის ზღვარზე არიან. „აზოტის“ იმედგაცრუებული ქომაგობა, რომელმაც ნაადრევად დატოვა ტრიბუნები და გასასვლელისკენ გაეშურა, კვლავ წივილ-კივილის იშტაზე მოვიდა, აქაოდა, წაგებულ თამაშს ვიგებთო, მაგრამ...

პლასიდე როდუმტას ერთი საჯარიმო ქულა და „აზოტის“ ჩინებული შანსი, 5 წამში ჩამორჩენა სრულიად გაებათილებინა, თუმცა, როგორც თავში ვთქვით...

რუსთაველებს ეს თამაში რომ მოეგოთ, ლევან მოსეშვილი ალბათ თავის შეგირდებს არ აპატიებდა. ტაქტიკურად და სხვა ფაქტორების გამოც „ავიამშენი“ ალალად იმსახურებდა გამარჯვებას, რადგან ამ გუნდმა მოახერხა მეტოქის ყველაზე სახიფათო რგოლების განეიტრალება, ხოლო სათავისო უპირატესობა სრულად გამოიყენა.

ფინალის დაწყებამდე მოსეშვილმა თქვა, არ გაგვიჭირდება, „აზოტის“ მეფარეებს თუ შევაჩერებთო და ეს გუშინდელ მატჩში ავიატორებმა მოახერხეს კიდეც. პირველ ტაიმში რუსთაველი მაღლები ასე თუ ისე უძალიანდებოდნენ მოწინააღმდეგეებს, თუმც მესამე მეოთხედში „ავიამშენმა“ ფარქვეშაც მოიკიდა ფეხი და შესაბამისად, უკანა ხაზშიც იმარჯვა.

პირველ ტაიმი თითქმის თანაბარი გამოვიდა, სანამ რუსთაველებს შორი სროლები მისდიოდათ. ის კი არა, „აზოტის“ ფარქვეშა ბურჯი ზვიად ბაბიაშვილიც ხშირად ადიოდა პერიმეტრზე, რაკი კამერუნელი როდუმტას ჩრდილქვეშ კომფორტულად ვერ გრძნობდა თავს.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ბაბიაშვილმა 5 სამქულიანი მოინადირა, მაგრამ ფარქვეშეთი ავიატორთა საბოგინო გახდა და ამით „აზოტმა“ საგრძნობლად იზარალა.

რაკი ფარქვეშა საფრთხე გაანეიტრალეს, ავიატორებმა თამამად შეუტიეს უკანახაზელებით და ამაში აშკარად დაჩაგრეს რუსთაველები. ბუბა ბერიშვილი, კოტე ტულუში, ირაკლი ხოშტარია, დავით ბერიშვილი, გიორგი ნიკოლაძე — ყველნი იშტაზე იყვნენ და ამათ აბა, ვინ უნდა გამოკიდებოდა. რუსთაველები უკანა ხაზით ისედაც ვერ დაიკვეხნიან და როცა გაფრენილი ავიატორების წინააღმდეგობას წააწყდნენ, იმედი თითქმის გადაეწურათ.

გადამწყვეტი მეოთხედის შუაწელში „ავიამშენმა“ საბოლოოდ ცხადყო საკუთარი უპირატესობა და გიორგი მარკოიშვილის მორიგი ორქულიანის შემდეგ 72:55 დაწინაურდა.

ეს უკვე თითქმის გამარჯვებას ნიშნავდა, მაგრამ ავიატორებს ალბათ ეს „თითქმის“ გამოეპარათ და წაგებას ბეწვზე რომ გადაურჩნენ, უკვე წაიკითხეთ.

მომდევნო მატჩი ხვალ იმავე ადგილას, იგივე დროსაა — ვერის ბაღი, 16 საათი.

მესამე ადგილისთვის

9 მაისი. ვერის ბაღი

თსუ-ნიკორა 1:0 სტუ

თსუ-ნიკორა 96:83 სტუ

29:20 14:24 28:20 25:19

თსუ-ნიკორა: ი. ბერიშვილი (10), ლეჟავა (8), კეშელავა (17), ბეჟანიშვილი (14), მუშკუდიანი (22); დიდია (13), სანიკიძე (6), ვეფხვაძე (6), მაისურაძე, მარხვაშვილი

სტუ: მიქაძე (5), ხეცურიანი (19), შანიძე (17), ახალკაცი (8), მათიაშვილი (7); ლოსაბერიძე (10), კეიდია (9), კვიმსაძე (6), კოხრეიძე (2), მურჯიკნელი, ათანელიშვილი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ბენის წილი ჰენთან



სეზონის საუკეთესო დამცველის ტიტული იმას შეხვდა, ვისაც უნდა შეხვედროდა და მანამდე ხვდებოდა კიდეც. ეს საკმაოდ პრესტიჟული ჯილდო ბოლო ხუთ სეზონში მეოთხედ ირგუნა 2004 წლის ჩემპიონ და 2005 წლის ვიცე-ჩემპიონ „დეტროიტ პისტონზის“ 206-სანტიმეტრიანმა ცენტრმა ბენ ვოლესმა და ამ მხრივ ის ასევე ოთხტიტულიან კონგოელ გოლიათ დიკემბე მუტომბოს გაუტოლდა.

ბოლო ხუთი წლის ნბა-ს ყველაზე თუ არა, ერთ-ერთმა უძლიერესმა მომხსნელმა და დამფარებელმა ბენ ვოლესმა წლეულს ოდნავ დათმო პოზიციები — 11,3 მოხსნით ასოციაციაში მხოლოდ მეოთხე იყო, 2,2 დაფარებით კი სულაც მეცხრე, მაგრამ სამაგიეროდ მისმა გუნდმა რეგულარულში 82 თამაშიდან 65 მოიგო და ამაში ბენის წილი იჭნებ ლომის წილზე მეტიც იყოს.

ვოლესმა ჟურნალისტთა გამოკითხვაში 420 ქულა დააგროვა 308 ქულით მეორე იყო სანანტონიოელი ტკიპა ბრიუს ბოუენი, „იუტა ჯაზის“ რუსულ „კალაშნიკოვი“ ანდრეი კირილენკოს კი 121 ქულით მესამეობა შეხვდა.

2006 NBA Plavoffs

8 მაისი

მეორე რაუნდი

აღმოსავლეთი

მაიამი 0:1 ნიუ ჯერსი

მაიამი 88:100 ნიუ ჯერსი

მაიამი: ვეიდი (15), ონილი (20 ქულა, 10 მოხსნა)

ნიუ ჯერსი: კარტერი (27), კიდი (22 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), ჯეფერსონი (20)

დასავლეთი

ფინიქსი 1:0 ალიპერსი

ფინიქსი 130:123 ალიპერსი

ფინიქსი: ნაში (31 ქულა, 12 პასი), ბელი (22), მარიონი (20 ქულა, 15 მოხსნა), დიაუ (19), ბარბოსა (17)

ცაქიტიშვილი სათადარიგო იყო

ალიპერსი: ბრენდი (40), კასელი (28)

ჰოკეი

პლეი ოფი 2006

8 მაისი

მეორე რაუნდი

აღმოსავლეთი

ჯაროლინა 2:0 ნიუ ჯერსი

ჯაროლინა 3:2 ნიუ ჯერსი

0:1 1:0 1:1 1:0

0:1 ლანგენბრუნერი (7), 1:1 რეკი (39), 1:2 გომესი (60), 2:2 სტაალი (60), 3:2 ვალინი (64)

ოტავა 0:2 ბუფალო

ოტავა 1:2 ბუფალო

0:0 1:2 0:0

0:1 დუმონი (24), 0:2 ჰეტი (26), 1:2 ფლაუსი (28)

დასავლეთი

სან ხოსე 2:0 ედმონტონი

სან ხოსე 2:1 ედმონტონი

1:0 1:1 0:0

1:0 პრაისინგი (5), 1:1 სამსონოვი (36), 2:1 ტორნტონი (38)

ჩოგბურთი

კაცები. მასტერსი. რომი. თიხნარი

საპრიზო 2 450 000 $

პირველი წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:2 6:1; **პოტა-ტო სტარაჩე** (იტალია) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:4 6:1; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — დავიდ ფერერი (11, ესპანეთი) 7:5 6:0; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 7:5 6:4; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — დავიდ სანგინეტი (იტალია) 6:4 6:2; **ნიკლას კიფერი** (13, გერმანია) — დანიელე ბრაჩიალე (იტალია) 4:6 6:2 6:4; **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — ჯეიმს ბლეიკი (7, აშშ) 6:4 7:6; **სტეფანო გალვანი** (იტალია) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:3 6:4; **გრეგ რუზედკი** (ბრიტანეთი) — ტომი რობრედო (12, ესპანეთი) 5:7 6:3 6:4; **რობი ჯინეპრი** (16, აშშ) — მაქს მირნი (ბელარუსი) 3:6 6:3 6:2; **გაელ მონფილზი** (საფრანგეთი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:2 3:6 6:4; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — ხუან მონაკო (არგენტინა) 4:6 6:2 6:3; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (3, ხორვატია) 5:7 7:6 6:4; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — ანდრეას სეპი (იტალია) 6:2 7:6; **ფერნანდო გონსალესი** (10, ჩილე) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 6:4 6:4

ქალები. ბერლინი. თიხნარი

საპრიზო 1 340 000 $

პირველი წრე

ვერა დუშევინა (რუსეთი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 2:6 7:6 6:2; **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:1 6:3; **მარა სანტანჯელო** (იტალია) — საბინე ლისიცკი (გერმანია) 3:6 6:2 6:1; **მარია კირილენკო** (15, რუსეთი) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:4 6:3; **სიბილ ბამერი** (ავსტრია) — მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:3 6:2; **ნატალია ვიერინი** (იტალია) — სოფია არვიდსონი (შვედეთი) 6:2 6:2; **ვირჯინია რაზანო** (საფრანგეთი) — აი სუგიამა (14, იაპონია) 6:1 4:6 6:2; **ანა სმაშნოვა** (ისრაელი) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) 6:4 4:6 6:4; **კვეტა პეშკე** (ჩეხეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:4 6:3; **დინარა საფინა** (10, რუსეთი) — მარია სანჩეს ლორენცო (ესპანეთი) 6:1 6:4; **ანა კრეიმერი** (ლუქსემბურგი) — ივანა ლისიაკი (ხორვატია) 6:0 7:6; **ვერა ზვონარიოვა** (რუსეთი) — ხისელა დულკო (არგენტინა) 3:6 6:2 6:2

თავისუფალი სტილის მოჭიდავე გიორგი გოგშელიძე იმ ქართველ სპორტსმენთა არცთუ გრძელ სიაში მოიაზრება, მომავალ ოლიმპიადაზე ოქროსთვის რომ უნდა იბრძოლონ. რუსეთის სახელით მსოფლიოს ჩემპიონი საქართველოში ორი წლის წინ დაბრუნდა. ორწლიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და ახლახან პირველსავე საერთაშორისო ტურნირზე — მოსკოვურ ევროპის ჩემპიონატზე — ბრინჯაოს მედალი აიღო. გიორგიმ მოსკოვში კისრის მძიმე ტრავმით იჭიდავა და რეგულარული სამკურნალო კურსი ახლალა დაიწყო — ექიმებთან ყოველდღე გორიდან დადის. შეგახსენებთ, გოგშელიძე საქართველოში დაბრუნების დღიდან დღემდე გორში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს, დაბრუნების სანაცვლოდ დაპირებული ბინის გასაღები კი არა და არ ჩანს. ჩვენს ოლიმპიურ იმედს ყველაზე მეტად ამ პრობლემაზე საუბარი ეხამუშება. ინტერვიუ ძირითადად მოსკოვურ შთაბეჭდილებაზე და წმინდა სპორტულ საკითხებზე ავაგეთ, თუმც უბინაობის თემის მივიწყებაც არ იქნებოდა...



ზურაბ დოლენჯავაშვილის ფოტო

გორი-თბილისი-გორი

გიორგი გოგშელიძემ ტკივილი ბრინჯაომდე დამალა

— ბრინჯაოს მედალი აბა, რა გასახარია. მესამე ადგილი მხოლოდ ნუგეშია ფინალს მიღმა დარჩენილი კაცისთვის, მაგრამ მოსკოვურ ბრინჯაოს ჩემთვის მაინც განსაკუთრებული ფასი აქვს. იმხელა ზეწოლა იყო და ბოლო შეხვედრაც ისე მოვიგე, ემოციის დამალვა ძალიან გამიჭირდებოდა.

— ვიდრე ბრინჯაოს ბრძოლაზე იტყვი, ყველაზე გახმაურებულ შეხვედრაზე მოგვითხრე — რუს ჰაჯიმურატ გაცალოვთან.

— წაგებული მოჭიდავისგან ცოტა უხერხულია უსამართლობაზე ლაპარაკი. არადა, გაცალოვთან მართლა ისე დამჩაგრეს, დღესაც ვერ ვხვდები მიზეზს. მეორე პერიოდის შემდეგ მონეტა რუსს დაუჯდა და შეკვრის უფლება მოიპოვა, რაც 95 პროცენტით გამარჯვებას ნიშნავს. მე მხოლოდ 5 პროცენტი მქონდა და ისიც კი წამართვეს. გულახდილად ვამბობ, ვერ მივმხვდარვარ, რისთვის დამაჯარიმეს და მეტოქეს მომგებიანი ქულა რატომ მისცეს. გაცალოვის შეკვრისას მსაჯმა მთხოვა, მის ზურგზე ხელები დამედო. ეს წესების სრული დაცვით გავაკეთე, მაგრამ რამდენჯერმე გამიმეორა, ეგრე არა, წესიერად დადეო. ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ვკითხე, მასწავლე, როგორ დავადო-მეთქი. თვითონაც არ იცოდა, რას მთხოვდა. გარწმუნებთ, ეს უბრალოდ, უაზრო მიზეზი იყო.

— თავად გაცალოვთანაც მოგიხდა შელაპარაკება და, თუ არაოფიციალურ წყაროებს დავეყრდნობით, უთანხმოება ხალიჩის მიღმაც გაგრძელებულა...

— თავიდანვე უხეშად მეჭიდავებოდა ხა მეც იგივე სტილი დავუპირისპირე. ერთ მომენტში წელში შემოდიოდა და ხელი თვალში მომიხვდა. ეგონა, ძალით გავუკეთე და უარესად არასპორტულად მომექცა. ბრძოლა დამთავრების შემდეგ კი ჩვენს მწვრთნელებს ხელიც არ ჩამოართვა. ხალიჩის მიღმა რა მოხდა, ეს უკვე საგაზეთო თემა არ არის.

— რუსეთის ნაკრების მწვრთნელს, თედეევს უთქვამს, გოგშელიძემ პროვოკაცია მოუწყო ჩვენს ფალავანსო. ამაზე გსმენია?

— პირადად ჩემთვის არაფერი უთქვამს. ალბათ, ეს განცხადება მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რუსებისთვის რომ დაეჯერებინა, არიქა, ჩვენ მართლები ვართო. ისე კი, თედეევი ყველანაირად ცდილობდა, რომ ჩემთვის წყენა არ ეგრძნობინებინა. მითხრა, ისევე გაფასებ, როგორც საქართველოში წასვლამდეო.

— გაცალოვთან თუ გქონდა ურთიერთობა იმ შეხვედრამდე?

— რუსეთში წლების განმავლობაში ვჭიდაობდი, მაგრამ მასთან ახლოს არასოდეს არ ვყოფილვარ. პირიქით, ამ ევროპამდეც არცთუ კარგი მოგონებები შემომრჩა მასთან დაკავშირებით. ათენის ოლიმპიადის წინ ნაკრებში განაღდებული ადგილი ჩამომართვეს და გაცალოვს აჩუქეს.

— ჯერ კიდევ ევროპაზე წასვლამდე ველოდით, რომ შენ გამორჩეულად დაიჩაგრებოდი. ეს რუსებმა ტურნირის დაწყებამდეც ხომ არ გაგრძნობინეს?

— სიმართლე გითხრათ, მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ გაცალოვთან შეხვედრამდე ზეწოლა არ მიგრძნია.

— პირდაპირი ეთერით შენი მხოლოდ ერთი ბრძოლა გადმოსცეს. ბრინჯაოსთვის ბელარუსს მოუგე და მთელი დარბაზი მისკენ იყო...

— ეს მეც შევამჩნიე. ტრიბუნები ძირითადად ოსებით და ლეკებით იყო გადაჭედილი. ჩემი მეტოქე დაღესტნელი გახლდათ, ხოლო გაცალოვი — ოსი. ადვილი მისახვედრია, რა „მხარდაჭერაც“ მექნებოდა.

— არ იქნება კენჭისყრაზე არ გკითხო. ის ფაქტი, რომ შვიდიდან ოთხი ქართველი პირველსავე წრეში რუსს დაუპირისპირდა, შენშიც ხომ არ იწვევს ეჭვს?

— წარმოუდგენელია, ასეთი რამ შემთხვევით მომხდარიყო. საწყისი ეტაპის შეხვედრის გაფუჭება გაცილებით ადვილია, ვიდრე ნახევარფინალის და ფინალის. პირველი წრე დილაადრიან ტარდება. არც ტელევიზიით შუქდება და ხალხსაც ნაკლებად აინტერესებს. დარბაზი თითქმის ცარიელია ხოლმე. ასეთ დროს მსაჯებისთვის უმარტივესი საქმეა არასასურველი მოჭიდავეების დაჩაგვრა. ვერ ვიტყვი, რომ გადამწყვეტ შეხვედრებში უსამართლობა აღარ ხდებოდა. მაგალითად, თუნდაც კვირკველიას სამურგაშვილთან წაგება და იმავ სამურგაშვილისგან ფინალის მოგებაც კმარა, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ამ ორ შეხვედრაში არაობექტურობა ყველამ დაინახა, პირველ წრეში კი თითქმის ვერავინ.

— მოსკოვში წასვლამდე ძველი ტრავმა გაგირთულდა. ტკივილს ხალიჩაზეც გრძნობდი?

— კისერი ძალიან მაწუხებდა, მაგრამ ვცდილობდი, ტკივილი არც შეჯიბრის დაწყებამდე შეემჩნია ვინმეს და არც უშუალოდ ჭიდაობისას. ტკივილგამაყუჩებლებიც არ გავაკეთებინე.

— რატომ დამალე?

— ხომ შეიძლებოდა, ჩემი წუწუნი სხვანაირად აეხსნათ. არ იფიქროთ, ვინმესათნ ცუდი ურთიერთობა მქონდეს. უბრალოდ, როცა შენზე იმედს ამყარებენ და შენ კი რაღაც მიზეზს ასახელებ, თავისდაუნებურად ჩნდება ეჭვი. მხოლოდ ბოლო ბრძოლის ჩამთავრებს შემდეგ ვთქვი, ძალიან მტკივა-მეთქი.

— ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ ვარჯიში მოასწარი, თუ ჯერ მკურნალობას აპირებ?

— სამკურნალო კურსი უკვე დავიწყე. ყოველდღე ჩამოვდივარ თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში. კურსს ზურაბ კახაბრიშვილთან გავდივარ და, როგორც მეუბნებიან, ათ დღეში ტკივილებმა უნდა გამიაროს.

— ყოველდღე გორიდან დადიხარ?

— ოღონდ გამოვკეთდე და...

— თბილისში ბინის თაობაზე არაფერი ისმის?

— სამწუხაროდ, სიახლე არაფერია. უკვე მცხვენია კიდეც ამაზე ლაპარაკი. არადა, ევროპის ჩემპიონატის წინ შეკრებებამდე პერიოდში გორის მაგივრად თბილისის დარბაზში რომ მევარჯიშა, გაცილებით უკეთეს ფორმაში ვიქნებოდი.

— დარბაზს რამდენ ხანში მიუბრუნდები?

— ალბათ, სამ დღეში. მკურნალობის პარალელურად ფალავანთა კლუბშიც შევიელი. მერე კი ვეცდები, ორჯერ ჩამოვიდე ხოლმე. იმედია, ბოლოს და ბოლოს პრობლემაც მოგვარდება. შემოდგომაზე ჩასატარებელ მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე სერიოზულად ვფიქრობ. ერთი სული მაქვს, როდის გავალ ხალიჩაზე.

ოთარ მაღლაკელიძე

ბედოშვილს რეკორდები ეხეჭება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდაზა იცამ ბედოშვილისა ბიჭია

თბილისელმა ზაზა დოლიძემ ორმოცი წლის წინათ ბადრო 50,5 მეტრზე რომ სტყორცნა და საქართველოს რეკორდი დაამყარა, მას მერე მის შედეგს ვერავინ მიუახლოვდა... წლევანდლამდე. რამდენიმე თვის წინათ ეს შედეგი 50 სანტიმეტრით გაუუჯობესა 16 წლის თბილისელმა გიორგი ბედოშვილმა.

და აი, გიორგიმ ახლა უკვე თავისივე რეკორდს შეუტია და ბადრო 56 მეტრსა და 40 სანტიმეტრზე გასტყორცნა. ეს მოხდა ქუთაისში, სადაც მსოფლიოს მძლეოსნური დღე შეჯიბრებით აღნიშნეს, რომელშიც თბილისელებისა და მასპინძლების გარდა სხვა ქალაქებისა თუ რაიონის წარმომადგენლები გამოდიოდნენ.

გიორგი ბედოშვილს ავარჯიშებს მამამისი, გიორგი უფროსი, რომელიც თავის დროზე საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ეროს მტყორცნელი იყო.

ახლა მამა-შვილი იმედით ელიან გაისად გასამართ ევროპის ახალგაზრდობის ტრადიციულ ოლიმპიურ ფესტივალს, სადაც მედლის მოპოვებას ფიქრობენ.

ავთანდილ ბუკვიშელი

ზურაბ კაკაბაძე, ევროფედერაციის პრეზიდენტი ტორ ლიანი და მამუკა სხიერელი

ხელბურთელებს ხელს უმართავენ

პორტუგალიის საკურორტო ქალაქ ვილამურაში ევროპის ხელბურთის ფედერაციის მე-8 კონგრესი გაიმართა, რომლის მუშაობაშიც კონტინენტის 47 ეროვნული ფედერაციის 139 წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი მამუკა სხიერელი, ვიცე-პრეზიდენტი თამაზ თევზაძე და გენერალური მდივანი ზურაბ კაკაბაძე.

ორდღიანი კონგრესის მსვლელობისას შეტანილ იქნა რიგი ცვლილებები ევროფედერაციის წესდებაში, აგრეთვე საარბიტრაჟო და საშეჯიბრო დებულებებში.

მნიშვნელოვნად გამკაცრდა სადისციპლინო ფინანსური სანქციები როგორც მოედანზე, ასევე თამაშამდე და მის შემდგომაც დარღვევების შემთხვევაში — 15 000 ევრომდე. დარეგულირდა ხელბურთელთა გადასვლა-გადმოსვლის საკომპენსაციო თანხის საკითხიც.

რაც უმთავრესია, ფედერაციამ შეცვალა ევროჩემპიონატების ჩატარების ოთხსაფეხურიანი შესარჩევი სისტემა. 2010 წლიდან, ფეხბურთელთა მსგავსად, ხელბურთელებიც ერთიან ჯგუფურ შეჯიბრში გამოავლენენ ფინალისტებს. რაც საქართველოსთვის აქამდე მეტად მტკივნეული იყო, შესარჩევი ციკლი იანვრის ნაცვლად მთელი წელი გაგრძელდება და გაყინული დარბაზების პრობლემა მოგვეხსნება.

ქართული ხელბურთის ხელმძღვანელობას შეხვედრები ჰქონდა როგორც ევროპის, ასევე საერთაშორისო ფედერაციების პირველ პირებთან. მათ მოიწონეს ჩვენი ასოციაციის მიერ შემუშავებული ხელბურთის განვითარების კონცეფცია. ორივე ფედერაციამ სრული მხარდაჭერა აღვვითქვა საქართველოში ხელბურთის დონის ასამაღლებლად. გრანტების სახით გამოგვიყვეს სპორტული ეკიპირება ორ ნაკრებზე (ქალთა და 20-წლამდელ ჭაბუკთა), ბურთები, ბადეები, სამი ელექტრო ტაბლო, კომპიუტერი ოფისისთვის. ანალოგიურ დახმარების მომავალშიც შეგვპირდნენ.

და კონკრეტული სასიამოვნო ამბავიც. ევროფედერაციის საშეჯიბრო კომისიამ დადებითად შეაფასა ქართველი მსაჯების — ელენე არაბულისა და ინა ჭკუასელის კვალიფიკაცია „ჩელენჯ ტროფის“ ერთი თვის წინანდელ ტურნირში და მათ რეკომენდაცია გაუწია „ევროპის ფედერაციის მსაჯის“ კატეგორიის მისაღებად.

დიდგულა ბიჭები მოკლე სკამზე და მოკლე წყალში

ბულგარეთში გამართულ ახალგაზრდა წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა 5 თამაშიდან 4 მოიგო და ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლებაც დაიბევა. ქართველ წყალბურთელებს პირველივე დღეს მოუწიათ უმთავრეს კონკურენტ თურქეთის ძლიერ ნაკრებთან თამაში. ფინალურ ეტაპზე გამსვლელის ვინაობაც ფაქტობრივად მათთან ბრძოლაში წყდებოდა. ბიჭებმა თავდადებით ითამაშეს და 10:9 მოიგეს. ამ ხუთ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებში 17 ბურთით იბომბარდირა მიხეილ ბაღათურიამ, რომელსაც 19 წელი გუშინ შეუსრულდა.

ჩვენი ნაკრების გამოსვლაზე უფრო დაწვრილებით მოგვითხრო უფროსმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ. თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს გუნდის წევრებმა ბექა ქენქაძემ და ნოდარ რაფავამაც

სოფიაში ქართველ წყალბურთელებს ბექა ქენქაძემ უბომბარდირა

სოსო მაისურაძე:

— გადაუჭარბებლად ვამბობ, ამ ბიჭებმა გმირობა ჩაიდინეს. თურქეთთან თამაშში ორი მოწინააღმდეგე დაგვიპირისპირდა — ძლიერი მეტოქე და ცუდი მსაჯობა. რომ არა უდიდესი მოტივაცია და ფსიქოლოგიური მზადყოფნა, მათთან მოგება გაგვიჭირდებოდა. თავად განსაჯეთ, თურქეთის ნაკრებს ამ ტურნირისთვის მომზადება 700 ათასი დოლარი დაუჯდა. მათ საკუთარი ხარჯით ჩამოყავდათ სერბი სპეციალისტები და მათთან ვარჯიშობდნენ. ისინი სისტემატურად მონაწილეობდნენ ამხანაგურ მატჩებში, რაც ასე აუცილებელია. ამით იმის თქმა მინდა, რომ საკმაოდ ძლიერი მეტოქე დავამარცხეთ, რაც ამ ეტაპზე დიდი მიღწევაა.

— ტურნირის დასაწყისში რამდენად კმაყოფილი იყავით გუნდის მზადყოფნით? უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურის შემდეგ დიდი პაუზა ხომ არ გამოგვიდათ? ბიჭებს ის ფორმა ხომ არ დაუკარგავთ, რაც უკრაინაში ჰქონდათ?

— გაამართლა ჩვენმა ნაბიჯმა იმ მხრივ, რომ უკრაინის ღია ჩემპიონატის მეოთხე ტურში აქცენტი ახალგაზრდებზე გავაკეთეთ. ბიჭები უფრო შეთამაშებულები იყვნენ. გუნდი ტურნირს მომზადებული შეხვდა, მაგრამ ერთი პრობლემა გვაწუხებდა — საკმარისი რეზერვი არ გვყავდა. მთელი თამაშის ჩატარება ძირითად გუნდს უხდებოდა, რაც უდიდეს ენერგიას მოითხოვს. ძალიან გვაკლდა ტრავმირებული გურამ კოტარია და გუნდისგან არ გამოშვებული ლეგიონერი ილია ბუტიკაშვილიც.

— მოტივაცია არც რუსეთთან გაკლდათ. ამ თამაშში ხომ პირველი ადგილის ბედიც წყდებოდა?

— საერთოდ ასეა, ბიჭები ძლიერ მეტოქესთან უფრო კარგად თამაშობენ. მატჩიც დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მეტოქეს არაფერს ვუთმობდით და გამარჯვებაც შეგვეძლო, მაგრამ აქ სწორედ რეზერვის არქონამ იჩინა თავი. რუსები ყველა პერიოდში ახალი, დასვენებული წყალბურთელებით გვეთამაშებოდნენ, ჩვენ კი ფაქტობრივად შეუცვლელი შემადგენლობით ჩავამთავრეთ მატჩი, მაგრამ კოტარია და ბუტიკაშვილი რომ გვყოლოდა, აუცილებლად მოვიგებდით. ორივე უდიდეს ძალას წარმოადგენს. პრობლემა იყო ისიც, რომ რიცხობრივ უპირატესობას სათანადოდ ვერ ვიყენებდით. ამ კომბინაციის დასამუშავებლად სათანადო, სტანდარტული აუზია საჭირო, რაც, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია. გასათვალისწინებელია ასაკობრივი სხვაობაც. ბიჭები მეტოქეებზე 3-4 წლით უმცროსები არიან.

— ბოლო მომენტში შეიცვალა ევროპის ჩემპიონატის ჩატარების თარიღი. აგვისტოს ნაცვლად, ტურნირი 22 ივლისს გაიმართება. გამოდის, რომ არცთუ დიდი დრო დაგრჩათ მოსამზადებლად...

— ივნისის ბოლოს უკრაინის ღია ჩემპიონატის ტური გველის. ამას მთავარ მოსამზადებელ ეტაპად გამოვიყენებთ. უკრაინაში იმ ბიჭებს წავიყვანთ, ვისაც შემდეგ რუმინეთში ევროპის ჩემპიონატზე. საჭირო იქნება ერთი შეკრება, სადაც ფიზიკურ კონდიციებს გავიუმჯობესებთ. კარგი იქნება, თუ სპარინგ პარტნიორებსაც მოვნახავთ ან რომელიმე ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. ეს აუცილებელია, გუნდის წევრთა უკეთ შეთამაშება რომ მოხერხდეს.

— ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რა შედეგს გეგმავთ?

— ახლა ძნელია პროგნოზის გაკეთება. ჯერ უშუალო მეტოქეების ვინაობაც არ ვიცით. ნებისმიერ შემთხვევაში ორი ძლიერი მეტოქე მაინც გვეყოლება. გამოდის, რომ თუ შემდეგ ეტაპზე გასვლა გვწადია, ერთ-ერთს მაინც უნდა მოვუგოთ, რადგან ოთხგუნდიანი ჯგუფებიდან ორი ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს. ჩვენი გამოსვლის ხარისხი ძირითადად იმ პირობებზე იქნება დამოკიდებული, რომელსაც შეგვიქმნიან.

სოფიაში გამართულ ბრძოლებზე თავიანთი აზრი გუნდის წევრებმა ბექა ქენქაძემ და ნოდარ რაფავამაც გამოთქვეს, რომლებიც, ბუნებრივია, ძალიან გახარებულები იყვნენ.

ბექა ქენქაძე:

— ევროშესარჩევისთვის განსაკუთრებით ვემზადებოდით. ვიცოდით, რომ თურქეთის ნაკრები მთავარი კონკურენტი იყო. გუნდში საბრძოლო განწყობა სუფევდა. აუზში მხოლოდ მოსაგებად ჩავედით და ბრძოლისა და თავდადების ხარჯზე გამარჯვებასაც მივაღწიეთ. ყველანი ძალიან გახარებულები ვართ.

ნოდარ რაფავა:

— უკან დასახევი გზა არ გვქონდა. ვიცოდით, რომ აუცილებლად უნდა მოგვეგო. იმდენად მოტივირებულები ვიყავით, თამაშის წინ ჰიმნი რომ ვიმღერეთ, ყველას ცრემლი მოგვადგა. სწორედ მონდომებამ და ჟინმა მოგვაგებინა. რუსებთანაც მაგრად ვიბრძოლეთ. მთელი თამაში ძალზე დაძაბულად და სულ გაწევ-გამოწევაში მიდიოდა, თუმცა მხოლოდ სათამაშო სიტუაციები იყო. თამაშის შემდეგ მეგობრულად დავშორდით. რუსებმა ჩვენთან გამარჯვებით ძალიან გაიხარეს. იმედია, დროებით, რადგან მათთან პირველსავე შეხვედრისას რევანშს ავიღებთ.

ლექსო მაისურაძე

აწ ნაკრების მენეჯერმა ვასილ აბაშიძემ ეროვნულ გუნდში ბოლოს კლოდ სორელის დროს ითამაშა

ქართველ ლელოებს იაპონური ალუბალი არ შეერგებათ

დღეს, ჩვენი დროით 14 საათზე, იაპონურ ტურნეზე მყოფი საქართველოს ნაკრები პირველ ტესტს გამართავს იქაურ მეორე ანუ „ა“ ნაკრებთან. კვირას, 14 მაისს კი, ჩვენი დროით დილის რვა საათზე ოსაკაში იაპონელთა მთავარ ნაკრებს „მოყვავილე ალუბლებს“ დაეჯახება.

ისე გამოვიდა, რომ ჩვენებს ეს რვადღიანი და ორმატჩა ტურნე მთლად ვერ შეერგებათ, რადგან ლეგიონერების კლუბების და ტრავმების გამო იაპონიაში ლამის სამარქაფო გუნდით ჩავიდნენ. ტურნე რაგბის საერთაშორისო საბჭოს ოფიციალურ კალენდარს ვერ დაემთხვა, ამიტომ ფრანგულმა და იტალიურმა კლუბებმა ქართველი ლეგიონერები სანაკრებოდ არ გაათავისუფლეს. ბოლოს კი ისე მოხდა, რომ იაპონიაში ჩასული ჩვენებს სამატჩო განაცხადში შესაყვანი 22 კაციც არ მოუგროვდათ და საშვეულად ნაკრებების მენეჯერ ვასილ აბაშიძეს უხმეს, ვინც სანაკრებო კვართი ბოლოს სამი წლის წინ მოირგო, მას შემდეგ კი რაგბის თამაშს შეეშვა. ისე, ვასილ აბაშიძე 29 წლისაა და ორი წელია, რაგბის კავშირში ნაკრებებს მენეჯერობს.

ძირითადი შემადგენლობა

15 ოთარ ბარკალაია
14 გიორგი ელიზბარაშვილი
13 რევაზ გიგაური
12 დავით კაჭარავა
11 გიორგი შკინინი
10 თემურ სოხაძე
9 ბიძინა სამხარაძე
8 ბესიკ უდესიანი
7 ზვიად მაისურაძე
6 გია ლაბაძე (კაპ)
5 ლევან დათუნაშვილი
4 ზურაბ მჭედლიშვილი
3 მიხეილ სუჯაშვილი
2 ირაკლი ნატრიაშვილი
1 დავით გასვიანი

სათადარიგოები

16 გიორგი კუთარაშვილი
17 ავთანდილ კოპალიანი
18 ვასილ აბაშიძე
19 პალიკო ჯიმშელაძე
20 გიორგი კაჭარავა
21 ირაკლი აბუსერიძე
22 მალხაზ ურჯუკაშვილი

კაპიტან ილია ზედგინიძის არყოფნაში ჩვენს „ლელოებს“ უგამოცდილესი ტულონელი გია ლაბაძე უყოჩებს. იაპონიის „ა“ ნაკრებს კი დღეს ეს გუნდი დაუდგება.

ბაჩო სვანიძე

წამალი „სალხინო“

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი „სალხინო“ და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

„სალხინო“ ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გიგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

ნამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებული და მონონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე 3,30 დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი: ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი: გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი: თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი: ჯახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი: მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოფერია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, პაპო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიანი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge